პროლეტარეტო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

7 ივლისი ოთხშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 154 (15064)

ხუთწლედის ეს დღეები

□ დადგა ახალი ხუთწლედის პირველი წლის მეორე ნახევარი. □ *კიდევ უფრო გავაძლიეროთ შრომის ტემპი.* □ თვითეული კოლექტივის ვალია მეტი გულმოდგინეებით იშრომოს ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.

ამთავრდა მიმდინარე წლის პირველი ნახევარი, უკან დარჩა სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა, სამშენებლო ორგანიზაციათა კოლექტივების მიერ ორ კვარტალში გაწეული შრომითი დღეები. შეჯამდა სოციალისტური შეჯიბრების ამ პირველი ეტაპის შედეგებიც. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამრეწველო საწარმოებმა კარგი ტემპი აიღეს ახალი ხუთწლედის პირველ წელს და წარმატებაც მოიპოვეს. რესპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე — 26 ივნისს შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის დავალება. ცალკეულმა საწარმოთა კოლექტივებმა კიდევ უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიეს.

პროდუქციის წარმოების ზრდის მთავარ რეზერვად კვლავაც რჩება შრომის ნაყოფიერების გადიდება. ამ მიმართულებით გაფლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ წელს არნახული ენთუზიაზმი კოდა. მოსკოველთა და ლენინგრადელთა მაგალითისამებრ საქართველოს სამრეწველო საწარმოებში გავრცელდა შეჯიბრება სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებისათვის. მოძმირნეობისა და ყაირათიანობისათვის, არსებულ სიმძლავრეთა მაქსიმალურად გამოყენებისათვის. სასახელო ინიციატივით გამოვიდნენ ცალკეული მეშრომელები, ბრიგადები, საამქროები და საწარმოები.

ახლახან ფართოდ გაიშალა ახალი შეჯიბრება სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებისათვის. ცალკეულმა დაკავშირებებმა, ბრიგადებმა ვალდებულება იკისრეს ყოველი ხუთი დღის დავალება ოთხ დღეში შეასრულონ. ეს შეჯიბრება სულ უფრო ფართოვდება, რაც წლის მეორე ნახევარში შრომის ნაყოფიერების კიდევ უფრო გადიდების კარგი გარანტიაა. ახლა საბრიოა ღრმად შევიწყვალოთ გაწეული მუშაობის შედეგები, ფართოდ დანერგოთ მოწინავეთა გამოცდილება, ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, კიდევ უფრო გავაძლიეროთ აღებული ტემპი, რათა უკეთესი მაჩვენებლებით დავამთავროთ წლის მეორე ნახევარი.

ჟურნალისტები ვგეგმავთ ცნობებს ცალკეული მოწინავე საწარმოების მიერ ეკვსი თვის გეგმების შესრულების შესახებ.

ᲓᲐᲜᲘᲜᲐᲣᲠᲓᲜᲔᲜ ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘ ᲛᲔᲐᲒᲠᲔᲨᲣᲛᲔᲔᲑᲘ

ახმეტის რაიონის მეაბრეშუმეებმა ახალი ხუთწლედის პირველი წლის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდების საქმეში წარმატებას მიაღწიეს, გადამეტებით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა. ნაცვლად 430 ცენტნერისა დამზადებულია 433 ცენტნერი აბრეშუმის პარკი, დამზადება გრძელდება.

აბრეშუმის პარკის დამზადების საქმეში თავი გამოიჩინეს ქისტაურის, ოქიოს, მაღრაანის, არგოხის კოლმეურნეობებმა, მატნისა და ალვანის საბჭოთა მეურნეობებმა.

თამბაქოს შეტანა ქედაში

ქედა. (საკ. კორ.). რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობაში მასობრივად გაჩაღდა თამბაქოს შეტანა. ანემსილია ასეულ ათასობით ზონარმეტრი თამბაქო.

მოსავლის აღების საქმეში განსაკუთრებით დაწინაურდნენ კოლოტაურის, ქედის, ოქტომბრის, ინასარიძეების, აბუქეთის, წონიარისის და სხვა კოლმეურნეობები.

ᲮᲐᲕᲔᲠᲓᲝᲕᲐᲜ ᲙᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ: სოფელ ზათხოჯის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე ნათელა ბარაბაძე.

ფოტო ი. ნანიკაშვილისა (საქ-დესის ფოტოქრონიკა).

ᲒᲛᲘᲠᲘ-ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ



ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ: კომუნისტური შრომის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი გ. ჭოხონელიძე.

ფოტო ა. მაჭავარიანისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ

● „საქჩინსმრეხილბოსტანის“ სახელმწიფო კომიტეტის სისტემის საწარმოებმა ვადამდე გაანაღდეს 1971 წლის პირველი ნახევრის გეგმები. პროდუქციის რეალიზაციის დავალება შესრულებულია 108,9 პროცენტით, საერთოდ პროდუქციისა — 111,3 პროცენტით. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 6.315 ათასი ქილა კონსერვი, 212 ათასი დეკალიტრი ღვინო და 300 ტონა შაქრის ფხვნილი.

ნახევარი წლის გეგმების შესრულებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ გორის, სოხუმის, ბათუმის, ზუგდიდის, ლაგოდეხის, ახმეტისა და თბილისის საკონსერვო, აგარის, ქარელის და კასპის ხილეკნკროვანი ღვინის ქარხნები და მთელი რიგი სხვა საწარმოები.

● თბილისი. აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ჟაკარდული ქსოვის ფაბრიკის (დირექტორი ლ. ჩიქვანაია) კოლექტივმა ექვსი თვის გეგმის გადამეტებით გამოუშვა 130 ათასი მანეთის პროდუქცია. მქსოველებმა მიმდინარე წელს საგრძნობლად გაზარდეს შრომის ნაყოფიერება. 6 თვეში გამოშვებულია 157 ათასი მანეთით მეტი ღირებულების ნაწარმი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

მქსოველები წარმატებით იბრძვიან, რომ გაანაღდონ ნაკისრი ვალდებულებანი. აქ ფართოდ გაშალა შეჯიბრება სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებისა და მასალების მომჭირნეობისათვის.

● ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ლითოფონის ქარხნის კოლექტივმა ნახევარი წლის დავალების გადამეტებით გამოუშვა 541 ათასი მანეთის პროდუქცია და 451 ათასი მანეთით მეტი ღირებულების ნაწარმი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

ქარხნის კოლექტივმა განვლილ პერიოდში დავალება ყველა დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით შეასრულა, გეგმის გადამეტებით მისცა ქვეყანას ასობით ტონა ლითოფონი, სრესილი საღებავი, შაბიამანი, მიკრობარიტი და სხვა ძვირფასი ქიმიური პროდუქცია.

● ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). ნაყოფიერად შრომობს ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივი. აქ ვადამდე უპატაკეს სამშობლოს ნახევარი წლის გეგმის შესრულება და გეგმის გადამეტებით გამოუშვეს დიდძალი პროდუქცია. საწარმომ უკვე დაამზადა 2.500 ცალზე მეტი სხვადასხვა სახეობის ელექტროურიკა და ელექტროსაწვავი. კოლექტივი იმისათვის იბრძვის, რომ წელს 250 ცალით მეტი ელექტროურიკა გამოუშვას ვიდრე მარშან, ხოლო სახელმწიფო გეგმა 22 დეკემბრისათვის შეასრულოს.

ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲡ ᲨᲔᲢᲔᲮᲕᲐ ᲥᲔᲓᲐᲨᲘ

ქედა. (საკ. კორ.). რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობაში მასობრივად გაჩაღდა თამბაქოს შეტეხვა. ანემსილია ასეულ ათასობით ზონარმეტრი თამბაქო.

მოსავლის აღების საქმეში განსაკუთრებით დაწინაურდნენ კოლოტაურის, ქედის, ოქტომბრის, ინასარიძეების, აბუქეთის, წონიარისის და სხვა კოლმეურნეობები.

ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲡ ᲨᲔᲢᲔᲮᲕᲐ ᲥᲔᲓᲐᲨᲘ

ქედა. (საკ. კორ.). რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობაში მასობრივად გაჩაღდა თამბაქოს შეტეხვა. ანემსილია ასეულ ათასობით ზონარმეტრი თამბაქო.

მოსავლის აღების საქმეში განსაკუთრებით დაწინაურდნენ კოლოტაურის, ქედის, ოქტომბრის, ინასარიძეების, აბუქეთის, წონიარისის და სხვა კოლმეურნეობები.

Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ

6 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ კრემლში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ნ. კოსიგინმა** მიიღო საბჭოთა მთავრობის მოწვეით მოსკოვში მყოფი იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი **ალდო მორო** და საუბარი ჰქონდა მასთან.

საუბრის დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ევროპაში და მსოფლიოს სხვა რაიონებში თანამედროვე მდგომარეობის ძირითად პრობლემებზე. საბჭოთა კავშირ-იტალიის ურთიერთობის საკითხთა განხილვისას ორივე მხარემ კმაყოფილება გამოთქვა ამ ურთიერთობის როგორც ახლანდელი მდგომარეობის, ისე მისი განვითარების პერსპექტივების გამო.

(საკდესი).

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ **ამხ. ა. ი. პელშემ** 5 ივლისს მიიღო ჩეხოსლოვაკიელ კომუნისტთა ჯგუფი, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის ზეიმთან დაკავშირებით. მათ შორის არიან ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო-სარევიზიო კომისიის წევრი **ი. ტონდლი**, ქარხანა „ავტოპრაღის“ პარტკომის თავმჯდომარე **ვ. ვავრა**, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პრაღის საქალაქო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი **ლ. კორფინკოვა**, სლოვაკიის კომპარტიის ბრატისლავის საქალაქო კომიტეტის წევრი **ლ. სიუჩი** და პარტიული ორგანოების სხვა წარმომადგენლები. ჯგუფის შემადგენლობაში არიან აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის წევრები 1921 წლიდან — მისი შექმნის დღიდან, რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის მონაწილენი, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის აქტივისტები: **ი. ბეკი, კ. უტრატილი, ი. ტირპეკლი, რ. მოკრი, ი. დრაზსკი, ვ. ლაშტოვკა, ი. დერკა, ი. იავურეკი, ფ. ნოვოტნი, ა. გოშეკ** და სხვები.

ამხ. ა. ი. პელშესა და ჩეხოსლოვაკიელ ამხანაგებს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

(საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს განიხილა საკითხი ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ სერიოზულ ნაკლოვანებათა და შეცდომათა შესახებ. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ამ ბოლო დროს ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნებაში“ (რედაქტორი ამხ. ო. ეგაძე) დაშვებულია იდეურ-პოლიტიკური ხასიათის მთელი რიგი შეცდომები.

ცალკეული სტატიები შეიცავენ გაუგებარ, ორაზროვან გამოთქმებს, რომლებიც იწვევენ მკითხველის დეზორგანიზაციას, ზიანს აყენებენ ჟურნალის იდეურ მიმართულებას, მის შინაარსს.

ამ მხრივ დამახასიათებელია ო. ეგაძის მიერ დაწერილი საგზაო დღიურები (პოლონური, გერმანული და რუსული), რომლებიც გამოქვეყნდა ჟურნალის 1969 და 1970 წლების ცხრა ნომერში. აქ იმის ნაცვლად რომ ყოველმხრივ, კვალიფიციურად გაეშუქებინა საქართველოს სსრ კულტურის დღეები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, აგრეთვე თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის გასტროლები პოლონეთსა და ვოლგოგრადში, რომლებმაც ფართო კულტურული და პოლიტიკური ეფექტიანობა მიიღო, ავტორი მკითხველებს სთავაზობს მიუღებელ მსჯელობას სულ სხვადასხვა საკითხზე.

ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების ძირეული პრობლემების გაშუქებისა და დაყენების საზიანოდ, პრობლემებისა, რომლებიც ხელს უწყობენ მხატვრული ინტელიგენციის შემოქმედებითის ზრდას, ჟურნალში ჭარბობს ინტერიორული ხასიათის სანალები, ინფორმაციები სხვადასხვა იუბილეს და ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ. სრულიად არადამაკმაყოფილებლად წარმოიმს ჟურნალის ფურცლებზე კინო-და თეატრალური კრიტიკა.

რედაქცია თავს არიდებს რესპუბლიკის შემოქმედებითი დაწესებულებების კრიტიკას, ხშირად აზვიადებს ხელოვნების ცალკეულ მუშაკთა წარმატებებს, მეტისმეტად აქებს მათ. რაც ხელს უშლის მხატვრული ინტელიგენციის, განსაკუთრებით მისი ახალგაზრდა წარმომადგენლების სწორ აღზრდას.

ჟურნალის შეცდომაა, რომ 1970 წლის დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა ო. ეგაძის იდეურად მოუმწიფებელი, მხატვრული თვალსაზრისით სუსტი პიესა „გარიურაჟი“.

ჟურნალში დამკვიდრა უმართებულო პრაქტიკა, როცა სარედაქციო კოლეგია რეგულარულად არ იკრიბება, იშვიათად განიხილავს დასაბეჭდად მიღებულ მასალებს და არსებითად გავლენას არ ახდენს ჟურნალის მიმართულებაზე.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ უნდა გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი თავისი ბეჭდვითი ორგანოსადმი, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებისადმი“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციას. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს განახორციელონ ღონისძიებენი, რათა უთუოდ აღმოიფხვრას ჟურნალის აღნიშნული შეცდომები და ნაკლოვანებანი, უზრუნველყონ მისი მაღალი იდეურ-თეორიული დონე.

მნიშვნელოვანი ამოცანაა, ნათქვამია დადგენილებაში, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ ირგვლივ თვალსაჩინო ხელოვნებათმცოდნეების, კრიტიკოსების, პუბლიცისტების გაერთიანება, რომლებსაც უნარი შესწევთ პარტიულად, შემოქმედებითად მოახდინონ გავლენა თეატრალური, სახვითი, მუსიკალური და კინოხელოვნების განვითარებაზე. ჟურნალი სისტემატურად და ღრმად უნდა აშუქებდეს მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის საკითხებს, ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების გზებს, კრიტიკულად უკეთებდეს ანალიზს და განაზოგადებდეს შემოქმედებითი კავშირების, დაწესებულებებისა და კოლექტივების, აგრეთვე თეატრის, კინოს მუშაკების, მხატვრების, არქიტექტორების, მოქანდაკეების, მუსიკალური ხელოვნების მოღვაწეების საქმიანობას.

ამხ. ო. ეგაძემ სწორად ცნო კრიტიკა მის მიმართ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვა, რომ ჟურნალის რედაქცია გარდაქმნის მუშაობას ამ დადგენილების მიხედვით და უზრუნველყოფს ჟურნალის შემდგომ მუშაობას მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე. (საქდესი).

ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐ

მიმდინარე წლის 1-3 ივლისს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის ვენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი მ. ვ. ზიმიანინი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი ვ. ვ. ზაგლადინი.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მოადგილე ჟ. მარშე, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. ლეგრუა, საფრანგეთის **კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი** ფ. ბიიუ, საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები ჟ. კალატა და რ. ლეკლერკი.

შეხვედრები და მოლაპარაკება, რომლებიც ურთიერთგაგებისა და ძმური მეგობრობის სულისკვეთებით მიმდინარეობდა, გამსჭვალული იყო ორი პარტიის მისწრაფებით შეიტანონ თავიანთი წვლილი 1969 წლის საერთაშორისო თათბირის რეკომენდაციების განხორციელებაში — განამტკიცონ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა, ეს ერთიანობა აიყვანონ უფრო მაღალ საფეხურზე, რომელიც შეესაბამება იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მუშათა კლასისა და მსოფლიო სოციალიზმის ინტერესებისათვის ბრძოლის თანამედროვე მოთხოვნებს.

მოლაპარაკების დროს დელეგაციებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია თავიანთი ქვეყნების მდგომარეობის, თავიანთი საქმიანობის შესახებ. საფრანგეთის კომპარტიის დელეგაციამ სოლიდარობა გამოუცხადა მშვიდობის განმტკიცების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და სოციალისტური დემოკრატიის განვითარების პოლიტიკას, რომელიც დასახა სკკპ XXIV ყრილობამ. თავის მხრივ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ განაცხადა, რომ მხარს უჭერს მუშათა და დემოკრატიული ძალების კავშირის პოლიტიკას სოციალური პროგრესისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში, რომელიც განსაზღვრა საფრანგეთის კომპარტიის XIX ყრილობამ.

გაიმართა ღრმა და ნაყოფიერი აზრთა ურთიერთგაზიარება დიდ თანამედროვე საერთაშორისო საკითხებზე და მთელ რიგ პოლიტიკურ და თეორიულ პრობლემებზე.

ორივე პარტიამ გადაწყვიტა გააღრმაოს თანამშრომლობა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მიერ კოლექტიურად შემუშავებული პრინციპებისა და ნორმების ბაზაზე და ამ მიზნით გააფართოოს ურთიერთკონსულტაციები, დელეგაციების, ინფორმაციების გაცვლა და სხვ.

ისინი აქტიურად შეუწყობენ ხელს საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის ყოველმხრივი მეგობრული ურთიერთობის განვითარებას, რათა მოლიანად გამოიყენონ ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ფართო შესაძლებლობანი თავიანთი ხალხების ინტერესებისათვის, აგრეთვე ევროპასა და მთელ მსოფლიოში უშიშროების ინტერესებისათვის.

შეხვედრის შედეგად დელეგაციებმა შემდეგი ერთობლივი დასკვნები გამოიტანეს.

* * *

ამ ბოლო ორი წლის ამბების მსვლელობამ სავსებით დაადასტურა, რომ სწორია მსოფლიო განვითარების შეფასება, რომელიც მოგვცა 1969 წლის კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირმა. საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტები მოქმედებენ და კვლავაც იმოქმედებენ ამ შეფასებიდან გამომდინარე რეკომენდაციების განხორციელების ინტერესებისათვის.

I.

თანამედროვე კაპიტალიზმი, იმპერიალიზმი ღრმა და სულ უფრო მზარდი კრიზისის სტადიაშია.

კრიზისი შეეხო კაპიტალისტური საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს. ეკონომიკის მერყეობა და დისპროპორციები, საგალუტო-ფინანსური კრიზისი, სულ უფრო მზარდი და ღრმა სოციალური კონფლიქტები, ზნეობრივი დაცემულობა — აი თანამედროვე მონოპოლისტური კაპიტალიზმის სახე.

მისი ლიდერებიც კი ვეღარ მოაგვარეს დრომოჭმული სისტემის კრიზისს, რომლის არსებობის გაგრძელებას ყოველნაირად ცდილობენ. მაგრამ ისინი ცდილობენ მიჩქმალონ ამ კრიზისის ნამდვილი მიზეზი. ეს, მიზეზი ის არის, რომ კაპიტალიზმს არ შეუძლია პასუხი გასცეს ჩვენი დროის ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ მოთხოვნილებებს, და უწინარეს ყოვლისა ის, რომ იგი ვერ აკმაყოფილებს მუშათა კლასის, ხალხის მასების მოთხოვნებსა და მისწრაფებებს.

უდიდეს შესაძლებლობებს, რომლებსაც ადამიანს უქმნის ეკონომიური განვითარება უპრეცედენტო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში, მსხვილი კაპიტალი იყენებს არა მშრომელთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად, არამედ მხოლოდ და მხოლოდ უმცირესობის გასამდიდრებლად. იგი სულ უფრო მეტად აფართოებს ექსპლოატაციის სფეროს, აგრცელებს მას მოსახლეობის სულ ახალ-ახალ ფენებზე. იგი ვერც იდეალებს სთავაზობს და ვერც ღირსეულ მომავალს ახალგაზრდა თაობას, რომელიც სულ უფრო მრავალრიცხოვანი ხდება და სულ უფრო მეტ აქტივობას იჩენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ყოველივე ამის გამო კლასობრივი ბრძოლა სულ უფრო დაძაბული ხდება. მუშათა კლასთან ერთად, რომელიც ყველაზე უმუალოდ განიცდის მსხვილი კაპიტალის მხრივ ექსპლოატაციას და გადამწყვეტ როლს ასრულებს დაწყებულ ბრძოლებში, ამ ბრძოლებში სხვა სოციალური ფენებიც მონაწილეობენ. მონოპოლისტური რეაქციები გამუდმებით აწყდებიან მზარდ უკმაყოფილებას. ხშირად დიდ გულისწყრომას, რასაც მასებში იწვევს მონოპოლიათა ანტიხალხური პოლიტიკა. ახალი და დიდმნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ ბრძოლაში მასობრივად ებმება მშრომელი და სტუდენტი ახალგაზრდობა, იზრდება ახალგაზრდობის ბრძოლისუნარიანობა და პოლიტიკური შეგნებულობა. განუხრელად იზრდება იმ მშრომელების, სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელი სხვადასხვა შეხედულებისა და რელიგიური მრწამსის ქალებისა და მამაკაცების რიცხვი, რომლებიც უერთდებიან გამოსვლებს დაღუპვის გზით მიმავალი ექსპლოატაციისა და ჩაგვრის სისტემის წინააღმდეგ.

მზარდ სიძნელეთა წინაშე მონოპოლისტური რეჟიმი სულ უფრო აძლიერებს თავის ანტიდემოკრატიულ ხასიათს. მშრომელებს, საზოგადოების წევრთა დიდ უმრავლესობას იგი საშუალებას არ აძლევს რაიმე მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ საქმეთა ხელმძღვანელობასა და მართვაში, ამკვიდრებს უსამართლო საარჩევნო სისტემებს, ცდილობს ხელყოს პროფკავშირული უფლებები, ახშობს თავისუფლებებს, რომლებიც ხალხის მასებმა მოიპოვეს მრავალი საუკუნის ბრძოლის შედეგად. იგი აძლიერებს მუშათა და დემოკრატიული მოძრაობის ჩახშობის საშუალებებს, მთელ რიგ ქვეყნებში იმასაც კი ცდილობს, რომ ალორძინოს ფაშიზმი, მთელ მის გაუგონარ დანაშაულობასთან ერთად.

ხალხები სულ უფრო-ცხადად ხედავენ, რომ ყოველივე ეს მონოპოლისტური კაპიტალის სისუსტის გამოვლინებაა და არა ძალისა. იგი ამაოდ ცდილობს დაბრკოლებები აღმართოს მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა გარდუვალი სოციალური განთავისუფლების გზაზე.

II.

კაპიტალიზმის კრიზისი სულ უფრო თვალნათლივ ვლინდება საერთაშორისო თვალსაზრისითაც.

კაპიტალიზმი ცდილობს დაუპირისპირდეს სოციალისტურ სისტემას, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირს, და ამისათვის მიმართავს ეკონომიურ დისკრიმინაციას, აგრეთვე ყველაზე დამანგრეველ სახეობათა იარაღს, აწყობს დეზინფორმაციის ინტენსიურ კამპანიას. მაგრამ ამით იგი მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მას აშინებს მშვიდობიანი შეჯიბრება სოციალიზმთან, ამ ახალ საზოგადოებასთან, რომლის არსებობა და სწრაფი განვითარება, სიძლიერებისა და პრობლემების მიუხედავად, მუშათა კლასის საქმის უდიდესი გამარჯვებაა.

იმპერიალიზმი, რომელიც თავისი ბუნებით აგრესიულია, ცდილობს გამოიყენოს ყველა საშუალება, რათა მიაღწიოს თავის მიზნებს. იგი მუდამ უქმნის ომის საფრთხეს მთელ კაცობრიობას, ამრიგად, ყოველივეს საჭიროა ხალხთა სიფხიზლე და ბრძოლა იმპერიალიზმის ზრახვების წინააღმდეგ, დამოუკიდებლობის დასაცავად და მშვიდობის შესანარჩუნებლად.

საბჭოთა და ფრანგი კომუნისტები იბრძოდნენ და უკოყმანოდ იბრძოდნენ სხვადასხვა ეკონომიური და სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვ ი ს. ისინი იბრძვიან და გაბედულად იბრძოლებენ ანტიკომუნიზმისა და ანტისოვეტიზმის წინააღმდეგ, რომლებიც გამომდინარეობენ ბურჟუაზიის ხელმძღვანელი წრეებისა და ყველა ჯიუტი ფსევდორევოლუციონერებისაგან. როგორც დამაჯერებლად გვიჩვენებს გამოცდილება, ანტიკომუნიზმი და ანტისოვეტიზმი არსებითად ემსახურებიან იმას, რომ განხეთქილება შეიტანონ მუშათა და მთელ ანტიიმპერიალისტურ მოძრაობაში, შენიღბონ დემოკრატიული თავისუფლებების, მშრომელთა და ხალხთა ინტერესების, მშვიდობის ინტერესების ხელყოფა.

ამაოდ ცდილობს იმპერიალიზმი უკუღმა დაატრიალოს ისტორიის ჩარხი, რისთვისაც არავითარ საშუალებას არ ერიდება. სოციალიზმის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობის ძალების აქტივიზაცია მსოფლიო განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორია.

ვიეტნამში, მთელ ინდოჩინეთში ამერიკის იმპერიალიზმის აგრესია ხალხების წინააღმდეგ, რომლებიც თავისუფლებას ესწრაფვიან, განწირულია ჩასაფუშავად. საბჭოთა და ფრანგი კომუნისტები ყოველი ღონისძიებით უჭირენ და კვლავაც დაუჭირენ მხარს ვიეტნამელი, ლაოსელი და კამბოჯელი ხალხების სამართლიან ბრძოლას, მათს წინადადებებს, რომელთა მიზანია სამართლიანი პოლიტიკური მოწესრიგება, უწინარეს ყოვლისა ამერიკის ჯარების მთლიანად გაყვანის საფუძველზე.

ახლო აღმოსავლეთში სულ უფრო ძლიერდება ისრაელის ექსპანსიონისტური ხელმძღვანელი წრეების საერთაშორისო იზოლაცია. და მაინც მსოფლიოს ამ რაიონში კვლავ დაძაბული და საშიში მდგომარეობაა, რადგან ისრაელ აგრესორებს, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო, ფინანსურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას ეყრდნობიან, არა სურთ დაეთანხმონ არაბთა ერთიანებული რესპუბლიკის კონსტრუქციულ წინადადებებს, რომელთა მიზანია გზა გაუხსნან კონფლიქტის პოლიტიკურ გადაჭრას. ეს უკუნური პოლიტიკაა, რომელსაც შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს საყოველთაო მშვიდობის საქმისათვის და რომელიც შიანს აყენებს აგრეთვე თვით ისრაელი ხალხის ხანგრძლივ ინტერესებს. საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის კომუნისტები უჭირენ და კვლავაც დაუჭირენ მხარს არაბი ხალხების მისწრაფებას მიადწიონ ისრაელის ჯარების გაყვანას აგრესიის შედეგად ოკუპირებული ყველა არაბული ტერიტორიიდან, უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის ყველა დებულების შესრულებას.

ლათინურ ამერიკაში განვლილი დროის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო რევოლუციური ბრძოლის გაშლა, რომელმაც დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯები მოაპოვებინა ჩილეს, პერუსა და ბოლივიის ხალხებს. საბჭოთა და ფრანგი კომუნისტები სოლიდარობას უცხადებენ ლათინური ამერიკის ხალხთა ბრძოლას,

(დასასრული მე-3 გვ.).

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

5 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ დაიწყო მოლაპარაკება სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ **ა. ა. გრომიკოსა** და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ **ალდო მოროს** შორის. მეგობრულ ვითარებაში განხილულ ევროპის აქტუალური პრობლემები, რომლებიც ინტერესს წარმოადგენს ორივე მხარისათვის. (საკდესი).

ᲙᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲗᲐ ᲛᲝᲗᲐᲕᲔᲜᲘ

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲠᲣᲜᲐᲕᲘ

ᲩᲕᲔᲜ დედაქალაქში არის საწარმო, რომლის პროდუქციის მომხმარებლები მხოლოდ ქალები და გოგონები არიან. სად, ჩვენი სამშობლოს რომელ კუთხეში არ შეხვდებით აქ დამზადებულ ნაწარმს. იგი 13 სახის საქონელს — ქალის ზედა ტანსაცმელს — აბრეშუმისა და შალის კაბებს, ძვირფასი ქსოვილისაგან შეკერილ პალტოებს, გოგონების გაწყობილ კაბებს აწოდებს ჩვენი ქვეყნის 43 სავაჭრო ბაზას.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის № 1 სამკერვალო ფაბრიკა (დირექტორი ნ. გვახარია) ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში. გასული წლის დავალება საწარმომ 4 დეკემბერს შეასრულა, ითვისა 200-მდე ახალი მოდელი, გეგმის გადამეტებით გამოუშვა 11.500 პალტო და 70.800 კაბა, რამაც ფულად გამოხატულებაში 1.443.000 მანეთი შეადგინა.

ამ წარმატებათა შემოქმედია ფაბრიკის ათასსამასიანი კოლექტივი, რომლის 95 პროცენტი ქალია. კოლექტივში 400-მდე კომუნისტი და 500-მდე კომკავშირელია.

მკერავთა კოლექტივის საქმიანობას იდმინისტრაციასთან ერთად უნარიანად წარმართავს ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია. სწორედ კომუნისტები მიანობისადმი წესდებით მინიჭებულ კონტროლის უფლებას, ზრდიან კოლექტივს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით.

ბრძოლა პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის კომუნისტთა მთავარი საზრუნავია. მართალია, აქ რეკლამაციები მინიმუმამდეა დაყვანილი. მაგრამ პარტიული კომიტეტი, საამქრო პარტიული ორგანიზაციები სხდომებსა და პარტიულ-კრებებზე სისტემატურად განიხილავენ ხარისხის ამაღლებისა და სტანდარტის დაცვის საკითხებს. მაგალითად, აპრილში პარტიული კომიტეტის სხდომაზე განხილულ იქნა მესამე და მეოთხე შემკერავ საამქროებში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხი. კომუნისტები ხშირად მსჯელობენ ტანსაცმლის ახალი მოდელის შექმნის, წარმოებაში მოწინავე ტექნიკის დანერგვის შესახებ.

აქ პრაქტიკაშია აგრეთვე საამქროთა პარტბიუროების მუშაობისა და კომუნისტთა ანგარიშების მოსმენა.

კომუნისტთა აღზრდის დიდი სკოლაა მათ მიერ პარტიული კომიტეტის სხდომებისა და პარტიული კრებებისათვის საკითხების შესწავლა-მომზადება, ღონისძიებათა შემუშავებასა და დავალებათა შესრულების შემოწმებაში მონაწილეობა.

— ცხოვრება წინ მიდის, იზრდება მომხმარებელთა გემოვნება და ამის შესაბამისად იცვლება საწარმოს წინაშე მდგომი ამოცანებიც, გვეუბნებიან პარტიული კომიტეტის მდივანი მ. ყიფიანი, პარტიული კომიტეტი, ძირეული პარტიული ორგანიზაციები ეძებენ მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს, რომ სწორად წარმართონ კოლექტივის საქმიანობა, წარმატებით გადაკრან საწარმოს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანები. ეს ამოცანები კი ძალიან ფართო და ბევრის მომცველია. პერსპექტიული გეგმით მეცხრე ხუთწლედში დახასიათებული ჩვენი წარმოების 35 პროცენტით ზრდა, ასორტიმენტის საგრძნობლად გაფართოება, ფაბრიკის აღჭურვა უნიფიცირებული ტექნიკით, საწარმოო კორპუსებისა და სათავსების საგრძნობლად გაფართოება.

ყოველივე ეს ფაბრიკის კომუნისტებისაგან, მთელი კოლექტივისაგან მოითხოვს დაძაბულ მუშაობას, ცოცხალ შემოქმედებას, ყოველივე ახლის, პროგრესულის დანერგვისათვის ზრუნვას. ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ეკონომიური ცოდნა მივცეთ მასებს.

დიდ ყურადღებას ვაქცევთ კომუნისტებისა და უპარტიო აქტივის სწავლებას. შექმნილია 11 პოლიტწრე, 5 კომკავშირული განათლების სკოლა. პარტიული ბიუროების მდივნები და პარტკომუფორგები სწავლობენ ერთწლიან სკოლაში.

გარდა ამისა, პარტიულ კომიტეტში სისტემატურად ეწყობა პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირ-სემინარი. პარტიული კომიტეტი პერიოდულად უკეთებს ინფორმაციას პარტიულ აქტივს, ფაბრიკაში იმართება კვალიფიციური ლექციათ-მოხსენებები, საუბრები პარტიისა და მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, საერთაშორისო მდგომარეობაზე, მუშაობს ადგილობრივი რადიოკვანძი.

ფაბრიკის კომუნისტები არაერთი თაოსნები გამხდარან. აი თუნდაც კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელის ლია გოზალიშვილის ძვირფასი თაოსნობა, რომელიც ახლა ინერგება ფაბრიკაში — ყოველდღიური დავალება 8 საათის ნაცვლად შეასრულოს 6 საათში. იზრუნოს პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, ითვისოს მრავალი ახალი მოდელი. ამ ინიციატივას ბევრი ახალგაზრდა გამოეხმაურა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ახალგაზრდებმა ერთსულოვნად მოიწონეს და მხარი დაუჭირეს სარატოველთა ინიციატივას, მას პირველი გამოეხმაურა რუსეთან ტარიელაშვილის ბრიგადა, რომელიც მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას იძლევა.

ფაბრიკაში არიან „მოუსვენარი აზრის“ ადამიანები — ეგრეთწოდებული რაციონალიზატორები. კომუნისტებმა ალექსანდრა ზებედაშვილმა, ლუარა გვაჯიამ, ციხანა გეწაძემ, ლელი მეტრეველმა და სხვებმა შეცვალეს კაბის დამუშავების რამდენიმე კვანძი, რამაც გაამარტივა კერვის პროცესი, საგრძნობლად გაუმჯობესა ხარისხი და საკმაო ეკონომიური ეფექტი მისცა საწარმოს.

აქ შრომის დისციპლინის დარღვევის არცერთი ფაქტი უყურადღებოდ არ რჩება. პარტიული ორგანიზაცია, იდმინისტრაცია ერთობლივად სწავლობენ იმ ცალკეულ დარღვევათა მიზეზებს, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი ფაბრიკაში, და გადამჭრელ ზომებს იღებენ მათ აღსაკვეთად. აქ ეფექტურად იყენებენ ამხანაგურ სასამართლოს, როგორც საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედების ყველაზე კარგ საშუალებას.

— მუშაობაში დიდად გვეხმარება ფაბრიკის პერსპექტიული გეგმა. იგი საშუალებას გვაძლევს ნათლად გავიანგარიშოთ წარმოების ეკონომიური ეფექტი, — გვითხრა საწარმოს საგეგმო განყოფილების უფროსმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა ეკონომისტმა, კომუნისტმა ნინო მაჩაბელმა, — ახლა როცა ხელთა გვაქვს სკკპ XXIV ყრილობის დოკუმენტები, ადგილზე ვამუშავებთ ფაბრიკის ხუთწლედს, რისთვისაც ვითვალისწინებთ შინაგანი რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებას.

კარგი განწყობილებით მუშაობს ფაბრიკის კოლექტივი ხუთწლედის პირველ წელს. 6 თვეში გეგმის გადამეტებით დამოშვებულია 8.000 ცალი პალტო, 20.000 კაბა. მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, მიღებულია დიდი ზეგეგმითი მოგება. სწორედ ამ ექვს თვეში ითვისა ფაბრიკამ ახალი ფასონის სინთეზური ქსოვილების — კრემპლინის, ტეტერონისა და ნაილონის ქალის კოსტიუმები, კაბები, ლაბადები, რომლებმაც მომხმარებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

ფაბრიკას აქვს გადაუჭრელი საკითხებიც. რესპუბლიკაში არ არის არცერთი ფურნიტურის დამამზადებელი საწარმო, ღილები, გასაწყობი ფურნიტურა, ძაფი, აგრეთვე სხვა დამხმარე მასალები სხვა რესპუბლიკიდან შემოაქვთ. ზოგჯერ გვიანდება ამ მასალების შემოტანა, ამასთან იგი ხშირად ვერც აკმაყოფილებს საწარმოს მოთხოვნილებებს. ამიტომ უხდებათ მისი გადაღებვა, ეს კი იწვევს დანახარჯების გაზრდას, ხარისხის გაუარესებას.

მკერავებისათვის დიდი ხანია გეგმა სახელმწიფო კანონი გახდა, ახლა კოლექტივის დევიზია მომხმარებელს მიაწოდოს ლამაზად შეკერილი, მოხდენილი, თანამედროვე მოდელის ტანსაცმელი, კმაყოფილი ჰყავდეს ფაქიზი და მომთხოვნი მომხმარებელი — ქალები და გოგონები. კოლექტივის ერთსულოვნება ამის საიმედო გარანტიაა.

ᲔᲗᲔᲠ ᲛᲐᲛᲐᲚᲐᲫᲔ.

ᲡᲙᲙᲞ XXIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ — ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲨᲘ!

ᲙᲝᲜᲪᲔᲜᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ეკონომიკის განვითარების მაღალმა დონემ და მეცხრე ხუთწლედის ახალმა, დიდმა ამოცანებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს მოთხოვნა დაგეგმვის, მართვისა და სამეურნეო მუშაობის მეთოდებისადმი. წარმოების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. ამიტომაც არის, რომ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში ხაზგასმით არის აღნიშნული საწარმოო გაერთიანებათა შექმნის აუცილებლობის, კონცენტრაციის პროცესის დაჩქარების, წარმოების სპეციალიზაციის გაძლიერების, მართვის სტრუქტურის გამარტივების საკითხები.

საქართველოს სამენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სისტემაში წელს შეიქმნა პირველი ექსპერიმენტული საწარმოო გაერთიანება „საქსილიკატი“, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ავჭალის სილიკატური საკეღლი მასალების ქარხანა (სათაო საწარმო), აჯამეთის სილიკატური აგურის ქარხანა, ჭიათურის სამშენებლო მასალების კომბინატი და წითელწყაროს საკარიერო სამმართველო. მათ ამყამად გაერთიანების ფილიალები ეწოდებათ. საწარმოო გაერთიანების ფილიალები განლაგებული არიან საქართველოს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ რაიონებში და საკმაო მანძილით არიან დაშორებული სათაო საწარმოს.

„საქსილიკატის“ გაერთიანებამ 1971 წლის ხუთი თვის რეალიზაციის გეგმა 95.5 პროცენტით, ხოლო სასაქონლო პროდუქციისა 96.7 პროცენტით შეასრულა. გეგმის შეუსრულებლობაზე გაგლება იქონია აჯამეთისა და ჭიათურის ფილიალების ცუდმა მუშაობამ. ხუთ თვეში მარტო აჯამეთის ფილიალმა სახელმწიფოს დააკლო 4 მილიონი 650 ათასი ცალი აგური.

აღსანიშნავია, რომ თავისი არსებობის მანძილზე აჯამეთის სილიკატური აგურის ქარხანა და ჭიათურის საშენ მასალათა კომბინატი სისტემატურად ვერ ასრულებდნენ სახელმწიფო გეგმებს და ძალიან ცუდი ფინანსური მდგომარეობა ჰქონდათ. ამიტომ ამ ფილიალების მუშაობის გაუმჯობესებისა და გეგმის შესრულების უზრუნველყოფისათვის საწარმოო გაერთიანება „საქსილიკატის“ ხელმძღვანელობას გათვალისწინებული აქვს მიმდინარე წელს განახორციელოს დიდი ღონისძიებანი.

აჯამეთის სილიკატური აგურის ქარხანაში წელს დამატებით დამონტაჟდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა სამი ავტომატური მომხსნელი, რითაც გაერთიანება მიიღებს 54 ათას მანეთ ეკონომიას.

სილიკატურ ქარხნებში ავტომატჯ-ბის დანერგვასა და მათს ოვალებას საერთოდ თან ახლავს მთელი რიგი სიძნელენი. რომელოთა დაძლევას დიდი დრო და მონდომება, ძალების მობილიზება სჭირდება, რადგან საქარხნო წესით დამზადებული თვითავტომატური მომხსნელები არასრულყოფილია. ყოველივე ეს ძალიან ცუდად მოქმედებს დანადგარების გამოყენების კოეფიციენტზე. მაგალითად, თუ არაავტომატიზებული წნეხებიდან ცვლაში შეგვიძლია 12-15 ათასი ცალი აგური მივიღოთ, ავტომატური მომხსნელიდან მხოლოდ 8-10 ათას ცალ აგურს ვიღებთ. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი მხოლოდ ის არის, რომ საჭიროა რომელიმე კარგ ქარხანაში დამზადდეს „1064“ ტიპის ავტომატური მომხსნელი ნაცვლად „1030“ ტიპის მომხსნელისა, ასე მოიქცნენ, მაგალითად, ლატვიის, ლიტვის და ქ. კალინინის ქარხნებში.

ახლახან აჯამეთის ფილიალში საექსპლოატაციოდ გადაეცა სილის მიმღები უბანი, ახლო მომავალში დაიდგმება საკომპრესორო და სათბობის შესანახი ცისტერნა, გათვალისწინებულია მეორე ცისტერნის დადგმაც. ამით უმჯობესდება შეკეთების ხარისხი. ძირფესვიანად გარდაქმნება მანქანადანადგარების მომსახურება და ექსპლოატაცია, მინიმუმამდე შემცირდება კაპიტალურ შეკეთებაში მყოფი დანადგარების მოცდენები.

საქართველოს სამენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს დახმარებით აგჭალის სილიკატური ქარხნის მექანიკურ სარემონტო საამქროში იქნება სათადარიგო ნაწილების დამზადების ბაზა, რაც საშუალებას მოგვცემს გაერთიანებაში დამოუკიდებლად დავამზადოთ სათადარიგო ნაწილები და თავიდან ავიცილოთ დიდი ხარჯები, რომლებიც მათს შემოზიდვას თან სდევდა ხოლმე.

აჯამეთის ფილიალში ჩატარდება ორგანიზაციული ღონისძიებები კადრების სწორად განაწილებისა და მომზადებისათვის. აქ ქარხნის არსებობის პერიოდში 11 დირექტორი შეიცვალა, რამაც, ცხადია, ქარხნის მუშაობაზე უარყოფითად იმოქმედა.

ჭიათურის ფილიალში გათვალისწინებულია მასის დამამზადებელი განყოფილების რეკონსტრუქცია. ტექნოლოგიურ ხაზში უნდა ჩაჯრთოთ ამრეგები, რომ გავაუმჯობესოთ მასის მომზადების ხარისხი. ჭიათურის ფილიალმა გეგმით 10 მილიონი ცალი აგური უნდა გამოუშვას, ეს რიული საქმეა. აღნიშნული ქარხნის რენტაბელობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ გაგზრდით მის სიმძლავრეს. ამიტომ საჭიროა ჩატარდეს არსებული ქარხნის მთლიანი რეკონსტრუქცია. აღნიშნული საკითხი პრობლემატურია და, ვფიქრობთ, საქართველოს სამენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო მას დადებითად გადაწყვეტს.

● სრულვყოთ მმართველობის აპარატი ● ავამაღლოთ ეფექტიანობა ● გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი

გაერთიანების ხელმძღვანელობას გათვალისწინებული აქვს ფითელწყაროში წელს ჩაატაროს კირის შატუტი. ამ ექსპერიმენტ-ექსპერიენტალურ ექსპლუატაციაში, რაც უზრუნველყოფს ორის მექანიზებულ ბადეში ამოღებული და მთლიანად გამოტანილ ბლოკებს ადამიანური შრომის — ეუბნებიან ინჟინერ-ტექნიკოსი. რომ ცალკეული ღონისძიებებისა და ახალგაზრდა. გაერთიანება „საქსილიკატის“ ხელმძღვანელობას მთელი რიგი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. მძიმე ფინანსური მდგომარეობა აჯამეთისა და ჭიათურის ფილიალების გადმოყოლამ ვალებმა გამოიწვია. მიმდინარე წლის იანვისისათვის ბანკის ვალი შეადგენდა 594 ათას მანეთს, აქედან 329 ათასი მანეთი ბანკის ვადაგადაცილებული სესხი, ხოლო 265 ათასი მანეთი მომწოდებლის ვადაგადაცილებული დავალიანებაა. გარღვევამ საკუთარ საბრუნავ საშუალებებში 222 ათას მანეთს მიაღწია. სამინისტრომ აოგალითვა ოახმარება სესხის გაფორმების საქმეში, რაც ალბათ მალე გადაწყდება. გაერთიანებისათვის ფინანსური საკითხების მოგვარებას ამჟამად დიდი მნიშვნელობა აქვს.

გაერთიანების დირექციას უჭირს ფილიალების ოპერატიული ხელმძღვანელობა, ამიტომ საჭიროა დაიდას მართვის ტელეტიპი; ეს აუცილებელია, რადგან ისინი ჩვენგან შორს არიან, ტელეფონით საუბარი კი დიდ სიძნელეებს გვიქმნის, ამ საკითხის მოგვარებას კავშირგაბმულობის სამინისტრო სამი თვეა გეგპირდება, მაგრამ ჯერაც არ შეუსრულებია.

აღნიშნული ღონისძიებებისა და პრობლემების გადაწყვეტა ხელს შეუწყობს საწარმოო გაერთიანება „საქსილიკატის“ ქარხნების გამართულ მუშაობას, შესრულდება საწარმოო დავალებები, სრულყოფილი გახდება მართვა. გაერთიანების კოლექტივი მზად არის თავდადებით იშრომოს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

ჯ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ,
საწარმოო გაერთიანება „საქსილიკატის“ გენერალური დირექტორი.

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ რაიონის გეგუთის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა 400 ტონა კომბოსტო გაგზავნეს მოსკოვში, ლენინგრადში, ვორკუტაში, ხაბაროვსკში და კომის ასსრ-ში. სულ მეურნეობა აწარმოებს და სახელმწიფოს მიჰყიდის 2800 ტონა სხვადასხვა სახის ბოსტნეულს.

ახლა 110 ჰექტარზე, რაც პამიდორს უჭირავს, კულტივაცია და მინერალური სასუქების შეტანა მიმდინარეობს. მებოსტნეები პირობას დებენ სახელმწიფოს 1600 ტონა პამიდორი მიჰყიდონ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზემოთ — გეგუთის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი ᲠᲔᲖᲝ ᲒᲐᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ (მარცხნივ) და მეოთხე ბრიგადის ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ᲐᲛᲑᲠᲝᲡᲘ ᲛᲣᲨᲐᲣᲓᲘᲐᲜᲘ გაგზავნის წინ კომბოსტოს ხარისხს ამოწმებენ; ქვემოთ — ახალგაზრდა მექანიზატორი, კომკავშირელი ᲘᲠᲐᲚᲘ ᲯᲘᲫᲘᲫᲘ, რომელიც ორი დღის დავალებას ერთ დღეში ასრულებს.

ფოტო მ. ᲒᲘᲠᲡᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ (საქდისის ფოტოქრონიკა).

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲭᲘᲕᲐᲠᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ

ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘ ᲪᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ?!

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ რედაქციამ წერილი მიიღო. მისი ავტორები არიან ქ. ზუგდიდის № 1 აფთიაქის თანამშრომლები მ. ბერიშვილი, ქ. ქირია, მ. ანთია, ნ. პატარაია, ე. როგავა, ლ. შედანია, მ. ბერულავა, ა. ხარებავა და ც. კეშელავა. აი რას გვწერენ ისინი:

„ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ „ᲝᲓᲘᲨᲘᲡᲘ“ რეკონსტრუქცია-დაშენება, ჯერ კიდევ 1967 წელს დაიწყო. 1969 წლის ნოემბერში სასტუმროს, რომლის პირველი სართული აფთიაქს ეჭირა, სახურავი გადახადეს, რამდენიმე თვე ქოლგებით ვმუშაობდით. ჰიგიენურად დაუშვებელი იყო აფთიაქის მუშაობის გაგრძელება, და სარეცეპტორო განყოფილება დროებით დაიხურა. 19 თანამშრომელი უმუშევარი დავრჩით. ქალაქის სახალხო სასამართლომ ჩვენი საჩივრის საფუძველზე ზუგდიდის საოფიციალო კანტორას დაკისრა ხელფასის 50 პროცენტის გადახდა. საოფიციალო კანტორამ ქ. ზუგდიდის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში. უმაღლესმა სასამართლომ ზუგდიდის სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმა და უარი გვითხრა განაცდური ხელფასის 50 პროცენტის ანაზღაურებაზე. რატომ მოგვექცა ასე უმაღლესი სასამართლო?

ნუთუ ვერ დადგინდა დამნაშავე, ვისი მიზეზითაც ამდენი ზარალი მიაყენეს აფთიაქს? სამაგიერო ბინა არ მოგვცეს, თუმცა იმ პერიოდში შესაძლებლობა იყო აფთიაქისათვის დროებით გამოენახათ შენობა.

ყოველივე ამის გამო მოგმართავთ თქვენ, პატივცემულო რედაქციავ, და გთხოვთ ჩაერიოთ საქმეში“.

ᲓᲦᲘᲗᲘᲓᲦᲘ მშენდება და ლამაზდება ზუგდიდი. ამ 4-5 წლის მანძილზე მრავალი ლამაზი 3-4-სართულიანი შენობა შეემატა, ახლაც ხარაჩოებია მთელ ქალაქში აღმართული. ყველა ამ სიკეთესთან ერთად გული დაგწყდებათ რომ შუაგულ ქალაქში, რაფიელ ერისთავის სახელობის ჭადრების ხეივნის წინ აღმართულ სსტუმრო „ოდიშის“ ორსართულიანი შენობის მესამე სართულის რეკონსტრუქცია-დაშენების სამუშაოები წლობით ჭიანურდება. სამწუხაროა ისიც, რომ ამ შენობის პირველ სართულზე მოთავსებულ № 1 აფთიაქს მუშაობის მძიმე პირობები შეექმნა რეკონსტრუქციადაშენების სამუშაოებთან დაკავშირებით. მაგრამ აფთიაქისათვის ბინის დროებით სხვაგან გამოყოფაზე ქალაქის საბჭოში თავი არ შეუწუხებიათ.

ზამთრის პირიდანაც კი, როცა აფთიაქს სახურავი გადახდილი ჰქონდა, წვიმასა და თოვლში აფთიაქის თანამშრომლები ქოლგებით ისხდნენ და მედიკამენტებს ჰყიდდნენ. ჩამონადენმა წყალმა დაზიანა აფთიაქის პერი, კედლები, იატაკი, აგრეთვე ინვენტარი, მოწყობილობა.

აფთიაქზე სართულების დაშენების დაწყებიდან, ე. ი. 1970 წლის თებერვლიდან მთავარი საფთიაქო სამმართველოს განკარგულებით დაიკეტა სარეცეპტორო განყოფილება. ხოლო მზა მედიკამენტების განყოფილება რატომღაც არ დაუზურავთ და დღესაც აუტანელ ანტისანიტარულ პირობებში განაგრძობს მუშაობას.

სარეცეპტორო განყოფილებაში მომუშავე 19 თანამშრომელი უმუშევარი დარჩა, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, მათ საჩივრით მიმართეს ქ. ზუგდიდის სახალხო სასამართლოს ხელფასის ანაზღაურების შესახებ.

შრომის კანონთა კოდექსის 68 მუხლის თანახმად გაცდენილი დროისათვის, რომელიც გამოწეული არ იყო მუშაკთა მიზეზით, ზუგდიდის საფთიაქო კანტორას სახალხო სასამართლომ დაკისრა გაიცა შრომის ხელფასი შესაბამისი კვალიფიკაციის მუშაკთა ხელფასის სატარიფო განაკვეთის ნახევრის ოდენობით.

საფთიაქო კანტორამ სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა უმაღლეს სასამართლოში, რომელმაც გააუქმა ქ. ზუგდიდის სახალხო სასამართლოს 1970 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება და მოსარჩლეებს სამუშაოზე აღდგენისა და განაცდური ხელფასის 50 პროცენტის ანაზღაურებაზე უარი უთხრა.

დაზარალებულთა საჩივარი გრძელდება. ისინი წერენ: № 1 აფთიაქის მუშაკები დაგვითხოვეს მშენებელი ორგანიზაციის მიზეზით (ე. ი. ჩვენი დათხოვნა სამუშაოდან თვით მუშა-მოსამსახურეების მიზეზით არ არის გამოწვეული). ამიტომ დროებით დათხოვნილ მუშაკებს უნდა მოგვეცეს ხელფასის ნახევარი, სანამ საექსპლოატაციოდ არ გადაეცემა აფთიაქის შენობა.

ეფიქრობთ, აფთიაქის მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნას მართლმსაჯულების ორგანოები ყურადღებით განიხილავენ, ხოლო გასაც ეხება, უფრო ყურადღებით მოეკიდება სასტუმრო „ოდიშის“ რეკონსტრუქციას.

Გ. ᲜᲝᲓᲘᲐ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲤᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ

● ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. ლითონკონსტრუქციების ქარხნის კოლექტივმა მრგვალ მაგიდასთან მიიწვია დიდი სამამულო ომის მონაწილე ქართველი გენერლები გ. ყურაშვილი, ნ. თავართქილაძე, ე. კობერიძე და პ. აბრამიძე. თვითეული მათგანი საინტერესო მოგონებებით გამოვიდა ქარხნის კოლექტივის წინაშე.

Ზ. ᲙᲔᲗᲘᲚᲐᲫᲔ.

● ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ოცდაათი წლის შემდეგ კვლავ მოძებნეს ერთმანეთი სამამულო ომის მონაწილეებმა — სტალინგრადის ფრონტის მებრძოლებმა — თბილისელმა მსუბუქი ტანსაცმლის მაღაზიის დამკვრელმა, კომუნისტმა ი. ბურდილაძემ და ვოლგოგრადელმა თ. ივანოვმა. ამ დღეებში ბურდილაძემ მიიღო წერილი, რომელშიც ფრონტელი მეგობარი აღტაცებით წერს სტალინგრადის ბრძოლების დაუვიწყარ ეპიზოდებზე, ახალშენებლობებზე, სადაც იგი მშენებელთა ბრიგადას ხელმძღვანელობს.

Კ. ᲠᲐᲮᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲠᲔᲜᲢᲐᲑᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ

ᲗᲘᲕᲯᲐ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘ, ᲡᲝᲤᲯᲐ...

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობის გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს პირუტყვის უზრუნველყოფა ყველა სახის საკვებით. ეს კი მოითხოვს საკვები ბაზის საფუძვლიან გაუმჯობესებას და არსებული რეზერვების სრულად გამოყენებას.

საქართველოს საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობის ზრდისა და მისი პროდუქტიულობის დაბალი მაჩვენებლები ძირითადად საკვები ბაზის მოუწესრიგებლობით აიხსნება.

უკანასკნელ წლებში საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ერთგვარი მუშაობა გასწიეს საკვების წარმოების გასაადიდებლად. მიუხედავად ამისა, საკვების წარმოება ჯერ კიდევ მაინც ჩამორჩება მეცხოველეობის ვარდილ მოთხოვნილებებს. მთელ რიგ მეურნეობებში საკმაო რაოდენობით არ მზადდება მაღალხარისხოვანი თივა, სილოსი და სხვა სახის წვნიანი საკვები. პირუტყვი დიდ გაჭირვებას განიცდის საძოვრული და მწვანე საკვების მხრივ. გარდა ამისა, მეურნეობებში მცირე რაოდენობით მზადდება ცილებითა და ვიტამინებით მდიდარი საკვები. რესპუბლიკაში 4-5 წლის განმავლობაში დამზადებული საკვები რესურსების თვითეულ საკვებ ერთეულზე მოდის მონელებადი ცილა დაახლოებით 60-65 გრამი ნაცვლად სულ მცირე 100-110 გრამისა, რაც იწვევს საკვების უკაარათო ხარჯვას და მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულების ზრდას. მეცხოველეობის მეურნეობებში ძალიან შეასუსტეს ყურადღება ბალახოვანლალოვანი კულტურებისა, სილოსებვანი კულტურებიდან. ბევრგან უკანასკნელ წლებში წარმოებიდან მთლიანად ამოიღეს ბრაზილიანი ბალახების თესვა-მოყვანა, რამაც მეცხოველეობის საკვებით უზრუნველყოფას ეიდი ზიანი მიაყენა.

საკვები ბალახებისადმი ასეთი დამოკიდებულების შედეგად უკანასკნელ წლებში თივის ხვედრითი წონა საერთოდ უხეში საკვების რესურსებში 35-40 პროცენტს არ აღემატება.

საგრძნობლად შემცირებულია აგრეთვე სასილოსე კულტურების ნათესი ფართობები. მართალია, რესპუბლიკაში 1965 წელს ამ კულტურების ნათესი ფართობები 83 ათასი ჰექტარიდან 1969 წელს 90 ათას ჰექტარამდე გადიდდა, მაგრამ მთელი რიგი რაიონების მეურნეობებმა ამ კულტურების ნათესი ფართობები ამ კვლევრად შეამცირეს.

საკვები კულტურების თესვა-მოყვანისადმი ასეთი არასწორი დამოკიდებულების შედეგია ის, რომ საზოგადოებრივი მეურნეობების უმრავლესობამ ისევე როგორც წინა წლებში, ახლაც საკვები კულტურების და ბუნებრივ სათიბ-საძოვრების გაუმჯობესებისათვის გამოყოფილი ათასობით ტონა მინერალური სასუქები სხვა კულტურებს მოახმარეს. გარდა ამისა, ისევე უნდა ითქვას, რომ ირღვევა ამ კულტურების თესვისა და დამზადების აგროვადები, ამის გამო როგორც საკვები კულტურების, ისე ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების მოსავლიანობა ძალიან დაბალია.

რესპუბლიკაში საკვები ძირფესვნების მოსავლიანობაც შეუფასებლად მცირეა, ხოლო ცალკეულ მეურნეობებში ეს მაჩვენებელი რესპუბლიკურზეც კი დაბალია და უკანასკნელი 4-5 წლის განმავლობაში მეურნეობებში 1 ჰექტარზე 30-40 ცენტნერს არ აღემატება.

პირუტყვის საკვების წარმოების გადიდების მიზნით საჭიროა თვითეულ მეურნეობაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ნათესი ფართობების საუკეთესო სტრუქტურას და კულტურათა შერჩევას, მიწის სავარგულების ფართობის გათვალისწინებას. არ უნდა დავუშვათ მცირემოსავლიანი კულტურების თესვა იქ, სადაც შესაძლებელია დიდმოსავლიანი, მაღალი კვებითი ღირებულების კულტურების თესვა-მოყვანა.

საკვები რესურსების გადიდების უდიდეს რეზერვს ჩვენი რესპუბლიკის პირობებში წარმოადგენს სანინდი, რომელიც, ერთდროულად წყვეტს ორ ამოცანას — ავსებს მარცვლის რესურსებს და წარმოადგენს კარგ სასილოსე მასას. სიმინდმა წამყვანი ადგილი უნდა დაიკავოს სხვა საკვებ კულტურათა შორის. სიმინდის რესურსების გადიდება უნდა მოხდეს როგორც ნათესი ფართობების, ისე მოსავლიანობის გადიდებით. კარგ აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარების პირობებში ნაწვრილზე ფალეზე ნეტარ ცალკეულ მეურნეობებში 200-250 ცენტნერ საუკეთესო ხარისხის სასილოსე მასას და ბევრ მეურნეობაში შესაძლებელია 15-20 ცენტნერი მარცვლის მიღება.

მრავალფეროვანი საკვების უქონლად შეუძლებელია მეცხოველეობის აღმავლობა. საჭიროა სიმინდთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს აგრეთვე იონჯის, სამყურის, ესპარცეტის, სუდანის ბალახის, ცერცველას, საკვები ჭარხლის, საკვები კომბოსტოს და სხვა მაღალმოსავლიანი საკვები კულტურების წარმოების გადიდებას. საკვებმოპოვების დარგში ერთგვარი წარმატების მიუხედავად ბევრ მეურნეობაში ჯერ კიდევ მთლიანად არ იყენებენ რეზერვებს, მათ განკარგულებაში არსებული საკვები ბაზის განმტკიცების დიდ შესაძლებლობებს, რის გამო თვითონ, ზოგიერთ ადგილებში ადგილობრივ ბუნებრივ სათიბ-საძოვრებზე ბალახოვანი ბალახო

ერთიანი განცხადება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციებისა

(დასასრული)

რომლებსაც სულ უფრო მეტი წვლილი შეაქვთ მსოფლიო ანტიიმპერიალისტურ მოძრაობაში.

ევროპაში — უწინარეს ყოვლისა ამ კონტინენტის სოციალისტური ქვეყნების ინიციატივათა მეოხებით — სულ უფრო ახალ პოზიციებს იპყრობს ის იდეა, რომ დიდი ხანია დადგა დრო შეიქმნას კოლექტიური უშიშროებისა და ყველა სახელმწიფოს თანასწორუფლებიანი, ურთიერთხელსაყრელი ეროვნულ-თანამშრომლობის სისტემა. საბჭოთა და ფრანგი კომუნისტები იბრძოდნენ და იბრძოლებენ იმის სასარგებლოდ, რომ მომზადდეს და რაიმე წინასწარი პირობის დაუთქმელად მოეწყოს სახელმწიფოთა სრულიად ევროპის თათბირი, რომელიც მოწოდებულია გზა გაუხსნას ამ მიზნების მიღწევას. ისინი ყოველ დონეს იხმარენ, რათა ამ თათბირის მომზადება და წარმატება თვით ხალხების საქმე გახდეს. ისინი კვლავაც დაუჭერენ მხარს ყველა ინიციატივას ამ მიზნის მისაღწევად.

საბერძნეთში, ესპანეთში, პორტუგალიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბევრ სხვა ქვეყანაში კომუნისტების, დემოკრატების წინაალმდეგ უაღრესად უხეშ რეპრესიებს მიმართავენ. საბჭოთა და ფრანგი კომუნისტები აქტიური სოლიდარობით ეკიდებიან და კვლავაც მოკიდებიან იმპერიალისტური რეაქციის ყველა მსხვერპლს.

III.

კაპიტალიზმის კრიზისი, მის მიერ წარმომშობილი სოციალური უსამართლობანი, აგრესიული ომები, საერთაშორისო უშიშროებისათვის საფრთხის შექმნა — ყოველივე ეს მზარდი ძალით მოითხოვს ახალი, უფრო სამართლიანი და უფრო ჰუმანური საზოგადოებრივი წყობილების დამყარებას. ასეთი წყობილებაა სოციალიზმი.

სოციალიზმი უკვე კეთილი სურვილი კი არ არის, იგი მომზადებულია თანამედროვე საზოგადოების განვითარების მთელი მსვლელობით. განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში უკვე დიდი ხანია არსებობს მატერიალური წანამძღვრები სოციალიზმისათვის. სოციალიზმი, როგორც ეს გამომდინარეობს მისი პრინციპებიდან და როგორც ეს უკვე დამტკიცებულია პრაქტიკულად, არის ერთადერთი სისტემა, რომელიც შეესაბამება ეკონომიური და სოციალური განვითარების მოთხოვნებსა და შესაძლებლობებს. იგი და მხოლოდ აგი შეესაბამება მშრომელებისა და მთელი ხალხის კანონიერ მისწრაფებებს.

მშრომელ მასებს, რომლებიც უფრო სამართლიან საზოგადოებას ესწრაფიან, სოციალიზმი უქმნის პირობებს, რომლებშიც მუშა შრომობს, ბოლოს და ბოლოს, თავისთვის და თავისუფალ და თანასწორუფლებიან ადამიანთა მთელი საზოგადოების ინტერესებისათვის.

სოციალიზმისა და კომუნიზმის მიზანი ამავე დროს არის ის, რომ გათავისუფლოს ადამიანი სოციალური უთანასწორობის, ეკსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან, უზრუნველყოს მთელი ხალხის კეთილდღეობა, შექმნას პირობები თავიფული ადამიანის პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის.

მხოლოდ სოციალიზმი, რომელსაც საფუძვლად უდვეს წარმოების სამუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება, გვაძლევს შესაძლებლობას უზრუნველყოთ უკრძისო გეგმიანი, ეკონომიური განვითარება ხალხის ინტერესებისათვის. მხოლოდ სოციალიზმი ქმნის პირობებს ნამდვილი პოლიტიკური და ეკონომიური დემოკრატიისათვის, ხალხის ფართო მასების ეფექტიანი მონაწილეობისათვის წარმოებისა და საზოგადოების ხელმძღვანელობასა და მართვაში, თვითფული მოქალაქის მიერ სოციალური და პოლიტიკური უფლებების თავისუფლად განხორციელებისათვის. დემოკრატიის უწყვეტი განვითარება — ეს არის საარსებო აუცილებლობა, სოციალიზმის განვითარების პირობა.

სოციალიზმი მთელი კაცობრიობის მომავალია.

მან უკვე გაიმარჯვა დედამიწის მეხამედ ნაწილში. ფასდაუდებელი გამოცდილება, რომელიც სოციალისტურმა ქვეყნებმა შეიძინეს, დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების შესაბამისად სოციალიზმის მშენებლობა ეყრდნობა საერთო პრინციპებს და რომ, ამავე დროს, იგი ვითარდება სხვადასხვა ფორმით თვითფული ქვეყნის ეროვნული თავისებურებებისა და ისტორიული პირობების შესაბამისად. თვითფულ ერს სოციალიზმის გზაზე თავისი წვლილი შეაქვს და კვლავაც შეიტანს მუშათა კლასისა და მშრომელი მოსახლეობის სხვა ფენების ხელისუფლების ამა თუ იმ თავისებურებაში, დემოკრატიის ამა თუ იმ ფორმაში, საზოგადოების ეკონომიური და სოციალური გარდაქმნის ამა თუ იმ წესში.

სოციალისტური ქვეყნების წარმატებანი და განმტკიცება გადამწყვეტ როლს ასრულებენ მსოფლიო განვითარებაში, რაც შეესაბამება ყველა ხალხის სოციალური განთავისუფლებისა და უშიშროების ინტერესებს. საბჭოთა და ფრანგი კომუნისტები აცხადებენ, რომ დიდი სოლიდარობით ეკიდებიან ახალი საზოგადოების მშენებლობის საქმეს სოციალისტური სისტემის ქვეყნებში, რომლებიც პრაქტიკულად ხორცს ასხამენ კაცობრიობის უმაღლეს მისწრაფებებს, და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იმოქმედონ ყველა სოციალისტური სახელმწიფოს შეკავშირების ინტერესებისათვის.

სოციალისტურ სახელმწიფოთა ერთობლივი წინადადებანი და პოლიტიკური ინიციატივა, — ისეთი, როგორიც არის საბჭოთა კავშირის წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებენ ევროპაში შეიარაღებული ძალების შემცირებას, ხუთი ატომური სახელმწიფოს კონფერენციის მოწვევას და სხვა ღონისძიებებს, — დადებით გავლენას ახდენენ მთელი საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებაზე.

სოციალისტური იდეალების კეთილშობილება თანამედროვე ეპოქაში იზიდავს როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი შრომის მშრომელთა სულ უფრო ფართო მასების გონებას. სწორედ ამიტომ ბურჟუაზიული პოლიტიკოსები და მონოპოლიათა დამქაშებიც კი ზოგჯერ სპეკულაციურად აცხადებენ, ჩვენც „სოციალიზმს ვიწყრაფვითო". ამის მსრივ მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტები, რომლებიც გაუთავებლად ლაპარაკობენ სოციალიზმზე, ფარ-ხმალს ყრიან კონკრეტული რევოლუციური ამოცანების გადაწყვეტის წინაშე, რომლებიც ითვალისწინებენ სოციალიზმზე გადასვლას. მათ არა სწამთ ხალხის მასების ძალა.

ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, სამართლიანია ლენინური დასკვნა: რევოლუციური თეორიის გარეშე რევოლუციური მოქმედების წარმატების იმედი არ უნდა ვიქონიოთ. პრაქტიკულად უკვე ნაცადი ასეთი რევოლუციური თეორია არსებობს. ეს არის მეცნიერული სოციალიზმი, ეს არის მარქსის, ენგელსისა და ლენინის მოძღვრება, რომელიც განუწყვეტლივ მდიდრდება და ვითარდება სოციალისტური ქვეყნების გამოცდილებით, საერთაშორისო მუშათა კლასისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბრძოლის გაკვეთილებით, თანამედროვე მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის მიღწევებით.

მარქსიზმ-ლენინიზმისაგან ყოველგვარი გადახვევა, მისი მეცნიერული ხასიათის ყოველგვარი შეუფასებლობა, ახალი საზოგადოების მშენებლობისათვის ბრძოლაში კლასობრივი პოზიციების ყოველგვარი უარყოფა, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მოქმედების ერთიანობის უარყოფა, სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმისადმი ყოველგვარი დათმობა, მხოლოდ სერიოზულ ზიანს მიაყენებს სოციალიზმის საქმეს.

მეცნიერული სოციალიზმისადმი, ბრძოლის ლენინური ორგანიზაციული პრინციპებისა და მეთოდებისადმი ერთგულება კომუნისტურ პარტიებს ჩვენი დროის რევოლუციური მოძრაობის ნამდვილ ავანგარდად აქცევენ.

IV.

მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა თვითეული კომუნისტური პარტიის ბრძოლის წარმატების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. იგი ამასთანავე ადუდაბებს მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების კავშირს. უკანასკნელ ხანს მიღწეულია ამ ერთიანობის გარკვეული პროგრესი. საბჭოთა და ფრანგი კომუნისტები მტკიცედ იბრძოლენენ მსოფლიოს ყველა კომუნისტური პარტიის პოლიტიკური და იდეური შეკავშირების განმტკიცებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, 1969 წლის თათბირის მიერ კოლექტიურად განსაზღვრული მ.ზნებისა და პრინციპების ბაზაზე.

იმპერიალისტური პროპაგანდა, აგრეთვე მემარჯვენე და „მემარცხენე" რევიზიონისტები და ოპორტუნისტები ცდილობენ დაუპირისპირონ პროლეტარული ინტერნაციონალიზმი კომუნისტური პარტიების დამოუკიდებლობას, სუვერენ ტ ე ტ ს ა და თანასწორუფლებიანობას. მათ ამ მიზნით შეუთხზეს მითი ეგრეთწოდებულ შეზღუდულ სუვერენიტეტის თეორიაზე და დემაგოგიური ზღაპარი ორ „ზესახელმწიფოზე", რომლებიც თითქოს ერთად წყვეტენენ მშვიდობის ბედს ხალხებისაგან ფარულად. საბჭოთა და ფრანგი კომუნისტები იბრძვიან და კვლავაც იბრძოლებენ ამ ცილისმწამებლური მონაჭორების წინააღმდეგ.

კომუნისტები სრულიადაც არ უარყოფენ და არ აკნინებენ დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს, თანასწორუფლებიანობას და როგორც ერების, ისე კომუნისტური პარტიების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს და თავიანთ კანონად მიაჩნიათ ამ პრინციპების პატივისცემა და თანმიმდევრული დაცვა სწორედ იმიტომ, რომ მათ, სოლიდარობასთან და ურთიერთდახმარებასთან ერთად, ორგანულად შეიცავს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შინაარსი.

ისინი დარწმუნებული არიან, რომ კომპარტიათა ბრძოლის განსხვავებულ პირობებს, ზამთრილ ამოცანათა გადაწყვეტისადმი სხვადასხვანაირ მიდგომას და აზრთა სხვაობას ცალკეულ საკითხებში სრულიადაც არ უნდა მოჰყვეს ნაციონალიზმი, იზოლაცია, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გათიშვა, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაზე უარის თქმა. საბჭოთა და ფრანგი კომუნისტები მტკიცედ ილაშქრებენ იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს ჩირქი მოსცხოს კომუნისტური მოძრაობის პრინციპებს, მის მიზნებს, მსოფლიო სოციალიზმს, და იბრძოლებენ საერთაშორისო ასპარეზზე კომუნისტური და მუშათა პარტიების მოქმედების ერთიანობის განვითარებისათვის და განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე ეხება ანტიიმპერიალისტური ბრძოლის გადამწყვეტ პრობლემებს.

ახლა მთელ მსოფლიოში იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ებმებიან ახალი მრავალრიცხოვანი ძალები. მათი ერთიანობა, მათი კავშირი კომუნისტებთან ამ ბრძოლის წარმატების დიდმნიშვნელოვანი პირობაა. საბჭოთა და ფრანგი კომუნისტები გაბედულად გამოიყენებენ აზრთა კონსტრუქციული ურთიერთგაზიარების ახალ შესაძლებლობებს იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება ყველა დემოკრატიული პარტიის, მათ შორის სოციალისტური პარტიების, ყველა პროგრესული, ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციის ანტიიმპერიალისტურ ბრძოლასა და ერთობლივ მოქმედებას მიუხედავად იმისა, თუ როგორია მათი პოლიტიკური, ფილოსოფიური და რელიგიური მრწამსი. მთელ ამ ძალებს დღეს თავიანთი ადგილი უჭირავთ ეკსპლოატაციის, ჩაგვრისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლაში. ხვალ მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ახალი საზოგადოების მშენებლობაში, თუ ისინი ეფექტიან მონაწილეობას მიიღებენ მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა და ფრანგი კომუნისტები გულდაჯერებით უყურებენ მომავალს. მათ იციან, რომ მომავალი სოციალიზმს ეკუთვნის!

მსოფლიო დღეს

ალჟირი

დამოუკიდებლობის დღე

6 ივლისი. (საკდესი). ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკ ი ს ხალხმა გუშინ აღნიშნა თავისი ეროვნული დღესასწაული — დამოუკიდებლობის დღე. ცხრა წლის წინათ ალჟირი განთავისუფლდა კოლონიური ჩაგვრისაგან და დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგა.

გამოვიდა რა ეროვნული დღესასწაულის გამო რადიოთი და ტელევიზიით, ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლ ი კ ის თავმჯდომარემ ჰუარი ბუმედიენმა განაცხადა, რომ ალჟირის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ დასაბამი მისცა ახალ ეტაპს — ბრძოლას პროგრესისა და აყვავებისათვის.

კაირო

მეგობრობა მტკიცდება

6 ივლისი. (საკდესი). კაიროს პრესა ფართოდ განმარტავს კომუნიკეს საბჭოთა კავშირში არათა გაერთიანებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მაჰმუდ რიადის ვიზიტის შესახებ.

„ალ-იპბარი", „ალ-გუმჰორია", „იჯიპშნ გაზეთი" ხაზს უსვამენ, რომ საბჭოთა კავშირი და არათა გაერთიანებული რესპუბლიკა ერთნაირ თვალსაზრისს ადგანან ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მოწესრიგების საკითხში, რომლის გადაწყვეტის აუცილებელი პირობა ის არის, რომ ისრაელმა გაიყვანოს ჯარები მთელი ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან, დამყარდეს მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში, და უზრუნველყოფილ იქნას პალესტინელი არაბების კანონიერი უფლებანი.

„საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის კომუნიკე, — ხაზს უსვამს გაზეთი „ალ-აჰრამი", — კვლავ ადასტურებს, რომ ორი ქვეყნის მეგობრობა და თანამშრომლობა, მიუხედავად იმისა, რომ იმპერიალისტური წრეები ყოველნაირად ცდილობენ ძირი გამოუთხარონ მას, მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს არათა გაერთიანებული რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებას, მისი ხალხის პროგრესსა და აყვავებას".

კონაკრი

ამხილებენ რეაქციას

6 ივლისი. (საკდესი). მსოფლიო რეაქციის ძალებისა და მისი აგენტურის ძირგამომთხრელი საქმიანობა გვინეაში ამხილა გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ამმედ სეკუ ტურემ.

გვინეის დემოკრატიული პარტიის აქტივისტთა მიტინგზე, რომელიც გუშინ გამართა კონაკრის საერო სასახლეში, სეკუ ტურემ განაცხადა, რომ დასავლეთის ზოგიერთმა სახელმწიფომ გვინეაში შექმნა მეხუთე კოლონა.

პრეზიდენტის სიტყვით, ამ კოლონის ამოცანას შეადგენდა ქვეყანაში არსებული რეჟიმის დამხობა და გვინეის პრეზიდენტის მოკვლა.

სეკუ ტურემ ილაპარაკა, თუ რა ღონისძიებები იხმარეს რეაქციის ამ შეთქმულების აღკვეთის მიზნით.

ტოკიო

ძალების გადაადგილება

6 ივლისი. (საკდესი). პრემიერ-მინისტრმა ე. სატომ მთავრობის სათავეში თავისი ყიფნის შვიდი წლის განმავლობა მესამეჯერ თითქმის მთლიანად განაახლა მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა. შუაკადა, წინა მთავრობის ფინანსთა მინისტრი, საბჭარეო სამეთა მინისტრი გახდა.

ძირითადი პოსტები კაბინეტში დაიკავეს მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეებმა მაერომ და ტანაკამ.

კაბინეტის ფართო რეორგანიზაცია და გადაადგილებანი მმართველი პარტიის ხელმძღვანელობანი გამოწვეულია იმით, რომ ლიბერალ-დემოკრატებმა მარცხი განიცადეს ერთი კვირის წინათ გამართულ პარლამენტის ზედა პალატის არჩევნებში.

მათ არათუ არ გაუზრდიათ დეპუტატთა რიცხვი პალატაში, არამედ დაკარგეს კიდეც ერთი მანდატი. ბევრმა ამომჩეველმა, რომლებიც სულ უფრო დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამენ მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გამო, ხმა მისცა ოპოზიციური პარტიების კანდიდატებს, რომლებმაც გაზარდეს დეპუტატთა რიცხვი მრჩეველთა პალატაში.

იაპონიის პრესა, განმარტავს რა მთავრობასა და მმართველი პარტიის ხელმძღვანელობაში მომხდარ ცვლილებებს, აღნიშნავს, რომ ეს, როგორც ჩანს, სატოს უკანასკნელი კაბინეტი იქნება.

ფინანსურ-სამრეწველო მაგნატები, რომლებიც ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონები არიან, როცა ამასწინანდელი არჩევნების შედეგებს აჯამებენ, აშკარად აცხადებენ, რომ იაპონიისათვის დადგა ლიდერის შეცვლის დრო, წერენ გაზეთები.

რიო-დე-ჟანეირო

კარგი შესაძლებლობანი

6 ივლისი. (საკდესი). კარგი შესაძლებლობანია საბჭოთა კავშირთან ბრაზილიის სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის გაფართოებისათვის, თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ფლავიუ მარსილიუმ.

ბრაზილიის მთავრობა, აღნიშნა მან, ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს ამ მიმართულებით, აწარმოებს მოლაპარაკებას.

თეირანი

კოსმონავტთა სახელოგის

6 ივლისი. (საკდესი). ტრაგიკულად დაღუპული სამი საბჭოთა კოსმონავტის ვაუაცობასა და მეცნიერული დამსახურების აღიარების ნიშნად ირანის შაჰის ბრძანებულებით გ. ტ. დობროვოლსკის, ვ. ნ. ვოლკოვისა და ვ. ი. პაცაევის სახელები მიენიჭება ირანის სამ სკოლას, რომლებიც ახლა შენდება.

ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყანა ცდილობს თავი დააღწიოს ადგილობრივ ეკონომიკაზე ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალის მოქალაქეს. კონტინენტის მშრომელთა მოთხოვნებში მთავარი ადგილი უჭირავს ბუნებრივი სიმდიდრეების დაბრუნებას და უცხოეთის კომპანიების ნაციონალიზაციას. მშრომელთა ფართო მასებმა მოძრაობას სათავეში უდგანან მუშათა კლასი და მისი ავანგარდი კომუნისტური პარტია.

სურათზე: ეკვადორის სოფელ მილაგროს მუშებისა და გლეხების მიტინგზე.

საკდესის ფოტოძრონიკა.

ბერლინი

ვითარება მწვავდება

6 ივლისი. (საკდესი). ირლანდიის ქალაქების კათოლიკური გეტოების უბნები კვლავ ალყაშემოჭერილია ცეხ-სიმპატიერებს მმხარეებსა. ინგლისის ჯარები და ოლსტერის პოლიციელ კვლავ ებომენ მავთულხლართებს, კმტაგენ ჟურნალებს საკალ ნაწილს.

ჩრდილოეთ ირლანდიაში დადგა პროტესტანტი ულტრების ტრადიციული მარშებისა და პარადების დრო, რის შედეგადაც მკვეთრად გამწვავდა ვითარება. ზედიზედ ორ ღამეს გრძელდებოდა მღელვარება ქალაქ ლისბერნში (ბელფასტის მახლობლად), რაც პროვოკაციულად გამოიწვიეს პროტესტანტმა ექსტრემისტებმა, რომლებიც თავს დაესხნენ კათოლიკურ უბნებს. შფოთის დროს ქალაქის ცენტრში დაწვეს რამდენიმე შენობა, 15 კაცი დაიპატიმრეს.

ბელფასტსა და ჩრდილოეთ ირლანდიის სხვა ქალაქებში ექსტრემისტული ელემენტები სულ უფრო ხშირად აფეთქებენ თვითნაკეთ ბომბებს.

ინგლისის თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ განზრახული აქვს უახლოეს დროში „წესრიგის დასაცავად" ჩრდილოეთ ირლანდიაში მყოფი ჯარების რიცხვი 11 ათასამდე გაზარდოს.

რა თქმა უნდა, ამისათვის ყველაზე მარტივი ხერხი იქნებოდა, რომ ხელისუფლებს ოფიციალურად აეკრძალათ პროტესტანტ ექსტრემისტთა მარშები, რომლებიც ჩვეულებრივ ეწყობა ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქების კათოლიკური უბნების გაკლით ან მათ მახლობლად. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ოლსტერის კაბინეტის ექვსი წევრი, მათ შორის პრემიერ-მინისტრი ფოლკნერი „ორანჟისტთა" ულტრამემარჯვენე ორდენის წევრები არიან, ეს ამაო იმედია.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ

● ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ — ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ", ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲜᲐᲮᲣᲚᲐ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗᲘ 100 ᲐᲗᲐᲡᲐᲛ ᲙᲐᲪᲛᲐ. ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲑ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲘᲡ ᲞᲐᲞᲝᲕᲘᲩᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲘᲐᲠᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲞᲝᲖᲘᲣᲛᲘ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ".

● ᲥᲔᲜᲔᲕᲐᲨᲘ ᲑᲐᲘᲡᲬᲜᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ 51-Ე ᲡᲔᲡᲘᲐ. ᲡᲐᲑᲭᲝᲛ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲐᲕᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ, Ა�გᲠᲔᲗᲕᲔ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲡᲐᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲚᲐᲜ ᲠᲘᲒ ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡ. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲡᲐᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲚᲐᲜ ᲠᲘᲒ ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲗᲛᲝᲑᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ.

● ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲛ ᲓᲐᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲐ ᲛᲣᲨᲐᲗᲐᲛᲓᲔ ᲙᲐᲪᲘ ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲐᲠᲦᲕᲘᲔᲡ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲞᲐᲚᲐᲢᲘᲡ ᲘᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲗ. ᲙᲘᲓᲔᲕ 1000 ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲚᲘᲐ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐ. ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲕᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲣᲠ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲐᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲬᲘᲡᲢᲠᲝᲗ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ. ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲣᲛᲐᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐ. „ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ" ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲘᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ 1972 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ.

ᲞᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲫᲘᲔᲑᲐᲜᲘ, ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲔᲑᲘ

ᲑᲠᲘᲜᲯᲘᲢᲐ — ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲘ

ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲒᲚᲔᲮᲝ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲨᲘ ᲛᲝᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲡ ᲑᲝᲠᲪᲣᲚ ᲐᲡᲬᲠᲐᲤᲓᲐ (ᲪᲠᲝᲜᲨᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘ, ᲤᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲗᲐᲛᲔᲜᲢᲘ, ᲑᲠᲘᲜᲯᲘᲡᲐᲜᲘ). ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲠᲘ ᲚᲝᲗᲝᲜᲘᲡ ᲜᲘᲜᲝᲗᲘ ᲛᲝᲮᲕᲓᲐ. ᲒᲚᲔᲮᲛᲐ ᲛᲘᲬᲐ ᲓᲐᲗᲮᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲘᲜᲯᲘᲡᲐᲛ ᲗᲐᲕᲘ ᲜᲐᲮᲐ.

ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲐᲠᲙᲕᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲥᲐᲚᲪᲛᲐᲠᲗ ᲑᲠᲘᲜᲯᲘᲢᲐᲡ — ᲙᲘᲚᲢᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲓᲐᲕᲓᲡᲐ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲗᲐᲗᲘᲡ ᲙᲘᲚᲢᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲗ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲗᲣ ᲒᲐᲕᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘᲗᲗ, ᲠᲝᲛ ᲝᲡᲚᲢᲔᲠᲘᲡ ᲙᲐᲑᲘᲜᲘᲢᲘᲡ ᲔᲥᲕᲘᲡ ᲬᲕᲠᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲤᲝᲚᲙᲜᲔᲠᲘ „ᲝᲠᲐᲜᲯᲘᲡᲢᲗᲐ" ᲣᲚᲢᲠᲐᲛᲐᲛᲐᲠᲯᲕᲠᲘᲜᲘ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲔᲡ ᲐᲛᲐᲝ ᲘᲛᲘᲓᲘᲐ.

ᲙᲐᲠᲘᲜᲭᲘᲡ-ᲤᲠᲐᲜᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ-ᲠᲔᲘᲢᲔ

ნორჩი ტალანტები

თბილისში სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში მიმდინარეობს მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების მეშვიდე რესპუბლიკური ოლიმპიადა.

სურათზე თქვენ ხედავთ ქალაქ ამბროლაურის 1-ლი საშუალო სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის წევრებს, რომლებიც ჩვენმა კორესპონდენტებმა ს. კილაძემ და გ. გოგოხიამ გადაიღეს.

სცენაზეა თვითმოქმედება

დღეს თბილისში იწყება მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ფესტივალი

დღეს ჩვენს დედაქალაქში იწყება რესპუბლიკის მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება. თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენა დაეთმობა ხალხური ხელოვნების ოსტატებს. ახლანდელ ფესტივალს წინ უძღოდა ზონალური დათვალიერება, რომელიც რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში ჩატარდა. გამარჯვებული კოლექტივები თბილისელი მაყურებლის წინაშე წარსდგებიან.

ფესტივალში 61 კოლექტივი მონაწილეობს, რომლებშიც შედიან სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, აგრეთვე ინდივიდუალური შემსრულებლები. ესენი არიან საქართველოს კულტურის სამინისტროს სისტემის კლუბებთან და კულტურის სახლებთან არსებული კოლექტივები.

ხალხური ტალანტების ოსტატობას შეაფასებს ჟიური, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი კომპოზიტორი **შალვა მშველიძე.** ჟიურის შემადგენლობაში შედიან რესპუბლიკის ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები.

იმ 61 კოლექტივიდან, რომლებიც ფესტივალზე გამოვლენ, თავიანთ ხელოვნებას აჩვენებენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქალაქების ქუთაისის, ზუგდიდის, რუსთავის, ფოთის წარმომადგენლები, მახარაძის, ახალციხის, სამტრედიის, საჩხერის, ხობის, ორჯონიკიძის, ჩოხატაურის, ზესტაფონის, თელავის, ვანის, მესტიის, ონის და სხვა რაიონების თვითმოქმედი მსახიობები.

ფესტივალში გამარჯვებული საუკეთესო კოლექტივები მიიღებენ მთავარ ჯილდოს — „ფესტივალის საუკეთესო ანსამბლისა“ და ლაურეატის წოდებას, აგრეთვე პირველი, მეორე და მესამე ხარისხის დიპლომებს. ფესტივალში გამარჯვებულებს გადაეცემათ აგრეთვე სპეციალური პრიზები, რომლებიც დააწესეს რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა, აგრეთვე საქართველოს მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა კავშირებმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს მუსიკალურმა, თეატრალურმა, ქორეოგრაფიულმა საზოგადოებებმა, ფილარმონიამ, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო და ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლებმა. ფესტივალი ჩატარდება 7, 8, 9 და 10 ივლისს.

დღეს, პირველ დღეს თბილისელ მაყურებელთა წინაშე გამოვლენ სამტრედიის, ქალაქ ზუგდიდის, ჩოხატაურის, ხობის, საგარეჯოს, ახალქალაქის, საჩხერის, ლაგოდეხის, სიღნაღის, ახალციხის და ზუგდიდის რაიონების კოლექტივები.

ა. ჩარგეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა კათედრის გამგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **არჩილ კორნელისძე ჩარგეიშვილი.**

ა. ჩარგეიშვილი დაიბადა აბაშის რაიონის სოფელ ზანაში 1903 წელს. საშუალო განათლება მიიღო ფოთის ვაჟთა გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა 1921 წელს. ამავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1927 წელს. 1928 წელს მუშაობდა ადიგენის რაიონის სოფელ უდეს საექიმო პუნქტის გამგედ. 1929 წელს გაწვეულ იქნა წითელი არმიის რიგებში. 1930–32 წ.წ. მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა კლინიკის ორდინატორად, 1934 წლიდან კი იმავე კლინიკის ასისტენტად.

1952 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ა. ჩარგეიშვილი ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა კათედრას. პროფესორ ნ. ასპასოვის სიკვდილის შემდეგ პროფესორი ა. ჩარგეიშვილი საქართველოს ოტორინოლარინგოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების უცვლელი თავმჯდომარეა. მთელი რიგი წლების განმავლობაში იგი იყო რესპუბლიკის მთავარი ოტორინოლარინგოლოგი.

პროფესორი ა. ჩარგეიშვილი იყო საკავშირო ოტორინოლარინგოლოგიური საზოგადოების გამგეობის წევრი, აგრეთვე საკავშირო და რესპუბლიკური სამედიცინო ჟურნალების სარედაქციო საბჭოს წევრი.

ა. ჩარგეიშვილი [illegible] ქართველ [illegible] ექიმთა [illegible] ერთ-ერთ [illegible] ოდენ [illegible] ეროვნული [illegible] სამედიცინო მეცნიერების განვითარების საქმეში. მის კალამს ეკუთვნის 60-ზე მეტი სამეცნიერო შრომა და მონოგრაფია.

პროფესორმა ა. ჩარგეიშვილმა შეადგინა ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა ორიგინალური სახელმძღვანელო ქართულ ენაზე, რომელიც 6-ჯერ გამოიცა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მეცნიერის გამოკვლევები, რომლებიც ეხება ცხვირის დანამატი ღრუების ქრონიკულ დაავადებებს. პროფესორმა ა. ჩარგეიშვილმა პირველად აღწერა ეგრეთწოდებული პალატო-ფარინგეალური სიმპტომი ადენოიდური წანაზარდების დიაგნოსტიკისათვის. ფართოდ არის ცნობილი მისი ექსპერიმენტული გამოკვლევები ფეოქვებადი ტალღის გავლენით ყურის კონტუზიურ დაავადებათა შესახებ. ა. ჩარგეიშვილი სმენის ობიექტური გამოკვლევის სამი ორიგინალური მეთოდის ავტორია.

მისი ხელმძღვანელობით დამუშავებული და გამოქვეყნებულია არაერთი შრომა, მათ შორის საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს პროფესორ ა. ჩარგეიშვილის დამსახურება — იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით, მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის სამეცნიერო წოდება.

პროფესორ არჩილ ჩარგეიშვილის სახელი სამუდამოდ დარჩება მისი მოწაფეების, კოლეგებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი; საქართველოს სსრ ოტორინოლარინგოლოგთა რესპუბლიკური სამეცნიერო საზოგადოება.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა კათედრის გამგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი

არჩილ კორნელის-ძე ჩარგეიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სპორტი

ჩინეგული დასაწყისი

ლ. ასატუროვას ბრწყინვალე ფინიში

მოსკოვი. 6 ივლისი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). ამინდი ისევ არ სწყალობს მშვილდოსნებს, მაგრამ ბრძოლა კვლავ შეუპოვარია.

სპეციალისტები გაოცებული არიან, ჟურნალისტები კი № 1 სენსაციად თვლიან საქართველოს გუნდის ერთ-ერთი წარმომადგენლის წარმატებას. დიახ, გუშინდლამდე თითქმის ყველასათვის უცნობი მშვილდოსანი ლუდოვ ასატუროვა დღეს სსრ კავშირის ჩემპიონია ქალთა შორის 60 მეტრზე სროლაში — 576 ქულა. სპარტაკიადაზე, გარდა კომპლექსური ჩათვლის აბსოლუტური პირველობისა, თამაშდება ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობაც, და ეი სწორედ ეს ოქროს მედალი მოიპოვა თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა. ეჭვს გარეშეა, ეს დიდი გამარჯვებაა, მაგრამ როგორია ლ. ასატუროვას სპორტული მაჩვენებლები კომპლექსურ ჩათვლაში? იგი აქაც ლიდერია და უახლოეს მეტოქეს 21 ქულით უსწრებს. დღევანდელი დილის შეხვედრათა შედეგებითაც ლ. ასატუროვას პოზიცია არ დაუთმია. თუ მან საღამოს ასპარეზობაზე 30 მეტრზე სროლამდე შეინარჩუნა მოპოვებული უპირატესობა, სპარტაკიადის ჩემპიონობაც უზრუნველყოფილი იქნება.

ის, რაც ყველაზე მეტ გაკვირვებას იწვევს სპეციალისტთა და მაყურებელთა შორის, გახლავთ ლ. ასატუროვას სპორტული ბიოგრაფიის თავისებურება. მას მიმდინარე წლის აპრილამდე გარკვეული წარმოდგენაც კი არ ჰქონია მშვილდოსნობაზე, გატაცებული იყო ჯერ მძლეოსნობით, შემდეგ — აკადემიური ნიჩბოსნობით, ჰქონდა ამ სახეობებში პირველი თანრიგი. როგორც მრავალმხრივი, პერსპექტიული სპორტსმენი, იგი პირველად შეამჩნია მწვრთნელმა ს. მამაევმა, რომელიც აქაც თავზე ადგას სპორტსმენს და სროლის ყოველ სერიაში დარიგებებს აძლევს დღეს უკვე საერთაშორისო კლასის ოსტატს. 1708 ქულით ლ. ასატუროვა სატურნირო ცხრილის სათავეშია. მისი უახლოესი მეტოქენი არიან ესტონელი ვ. ვილენდი — 1687 ქულა და მოსკოველი ე. გაპრენკო — 1580 ქულა.

70 მეტრზე სროლაში ქალთა შორის ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა უკრაინელი ნ. ლონსკაია — 533 ქულა. ვაჟთა შორის 90 მეტრზე სროლაში ოქროს მედალი მოიპოვა ბ. სიდორუკმა (უკრაინა — 480 ქულა), 70 მეტრზე სროლაში — ლენინგრადელმა მ. პეუნოვმა — 573 ქულა. გუნდურ ჩათვლაში ლიდერები არიან ქალთა შორის ესტონეთის, უკრაინისა და საქართველოს გუნდები, ვაჟთა შორის უკრაინის, მოსკოვისა და ესტონეთის მშვილდოსნები. საქართველოს ვაჟთა გუნდს მეთორმეტე ადგილი უჭირავს.

ლ. ასატუროვა

მოსკოვი. 6 ივლისი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). ბრწყინვალე შედეგი დამთავრა დღეს სპარტაკიადისა და საკავშირო პირველობის პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობები საქართველოს ქალთა ნაკრები გუნდის წევრმა ლ. ასატუროვამ. მან ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის მეორე ოქროს მედალი მოიპოვა 30 მეტრზე სროლაში, ბრინჯაოს მედალი 50 მეტრზე სროლაში და გახდა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის პირველი ჩემპიონი.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე მას გადასცეს 3 ოქროს და 2 ბრინჯაოს მედალი.

ვ. გაბელია.

ფეხბურთის ქრონიკა

△ **როგორც** სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია იუწყება, დონეცკის „შახტიორისა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩი კვლავ გადაიდო. ახლა იგი 13-ის ნაცვლად შედგება 24 ივლისს.

△ **ფიფას** შტაბ-ბინის ცნობით, მომავალ 1974 წლის მსოფლიო პირველობაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 93 ქვეყანამ (მექსიკის საგზურისათვის 69 ნაკრები იბრძოდა). წინასწარი შეხვედრების წილისყრა გაიმართება დიუსელდორფში (გფრ) 17 ივლისს.

ფეხბურთი მოსკოვში

გუშინ მოსკოვში ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის კიდევ ერთი მატჩი. ერომანეთს ხვდებოდნენ სსრ კავშირის ჩემპიონი — ცსკა და დედაქალაქის „სპარტაკი“. ამ ძველი მეტოქეების საინტერესო ასპარეზობა დამთავრდა ფრით — 1:1. გოლების ავტორები იყვნენ სპარტაკელი ოსიანინი (მე-6 წუთი) და არმიელი დუდარენკო (34-ე წუთი).

მორიგი ტურის მატჩები გაიმართება პარასკევს, 9 ივლისს.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 7 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კ.)	14	8	5	1	17-6	21
„არარატი“	14	7	5	2	19-9	19
„დინამო“ (მ.)	14	6	7	1	14-6	19
„ნეფტჩი“	14	6	5	3	21-13	17
„ყარაბაღი“	14	5	5	4	18-17	15
„ყაზახი“	14	5	5	4	19-20	15
„დინამო“ (თბ.)	13	6	3	4	10-12	15
ცსკა	15	4	6	5	14-15	14
„ზარია“	14	4	5	5	15-12	13
„ტორპედო“	14	1	10	3	5-7	12
„სპარტაკი“	14	2	8	4	12-15	12
„დინამო“ (მნ.)	15	2	8	5	17-20	12
„პახტაკორი“	14	2	7	5	10-20	11
„ზენიტი“	14	2	6	6	9-16	10
სკა	14	3	4	7	12-20	10
„შახტიორი“	13	4	1	8	9-13	9

ფეხბურთი

კატარა მწყემსის მამაცობა

ახალციხის მეორე საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-8 კლასის მოსწავლე რევაზ ბერიძე, რომელიც ზაფხულის არდადეგებზე მშობლიურ სოფელ ანდას ეწვია, ამხანაგებთან ერთად ბატკნებს აძოვებდა.

დილით ამინდი კარგი იყო, საავდრო ღრუბლები არსად ჩანდა. ამიტომ ბავშვებმა ბატკნები ღელის პირად ჩარეკეს. მაგრამ შუადღისას ცა უცბად მოიღრუბლა. ატყდა საშინელი ქიქა-ქუხილი და წამოვიდა კოკისპირული წვიმა, რომელსაც სეტყვაც მოჰყვა.

ბავშვებმა ბატკნების ერთი ნაწილი სოფლისკენ გამოამბრუნეს, დანარჩენს კი, რომლებიც ბალაში მიმოფანტულიყვნენ თავი ვერ მოუყარეს. იმის შიშით, რომ ადიდებული ღელეს დარჩენილი ბატკნები არ წაეღო, ბავშვები ცხოველებს არ სცილდებოდნენ. ამ დროს რევაზს ხველ კორდზე ფეხი დაუხლტდა და ადიდებულ წყალში ჩავარდა. ბავშვის სიცოცხლე საფრთხეში იყო, მაგრამ პატარა მწყემსები არ დაიბნენ. ჯიმშერ ბერიძემ მშველელის მოსაყვანად უშანგი ინასარიძე სოფელში აფრინა, თვითონ კი არ შეუშინდა სტიქიას და მეგობრის გადასარჩენად ადიდებულ წყალში გადაეშვა. ნიაღვართან თავგანწირული ბრძოლის შემდეგ გრძნობადაკარგული მეგობარი ნაპირზე გამოიყვანა. ამასობაში სოფლელებიც მოვიდნენ, ბავშვს იქვე აღმოუჩინეს პირველი დახმარება და გრძნობაზე მოიყვანეს.

რევაზ ბერიძე ახლა თავს კარგად გრძნობს. მისი მშობლები და საერთოდ მთელი სოფლის მოსახლეობა მადლობას უხდიან გულად მოსწავლეს ჯიმშერ ბერიძესა და მის აღმზრდელ მასწავლებლებს, რომლებიც სხვა კეთილ თვისებებთან ერთად პატარებს უნერგავენ შეუპოვრობას, მტკიცე ნებისყოფას და მეგობრობის გრძნობას.

გ. ინასარიძე,
ახალციხის რაიონის სოფელ ანდრიაწმინდის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელი.

ჩვენი ბუნების მტრები

ავი ჩვევა

საჩხერე. (საკ. კორ.). აქ ზრუნავენ სასარგებლო ფაუნის დაცვა-გამრავლებისათვის. ბოლო წლებში იმატა შველმა, არჩამ, კურდღელმა, ზაბმა; ფრინველებიდან მომრავლდა შაშვი, მტრედი, იხვი, მწყერი და სხვ.

მაგრამ ზოგმა ვერ მიაღწია ბოროტი ჩვეულ. მათ დაიწყეს, რომ მარტიდან 15 აგვისტომდე აკრძალულია ნადირობა ყოველგვარ ნადირ-ფრინველზე, და დაუზოგავად ანადგურებენ ფაუნას. 10 მაისს ნადირობის წესები უხეშად დარღვიეს გორისელმა ამბროსი ხარშილაძემ და ორდულელმა გურამ ჭიღლაძემ. ასევე მოიქცნენ ჩიხელი გურამ ასანიძე, დუნეელი გიორგი თოდაძე და სხვები.

ბრაკონიერებს ჩამოერთვათ სანადირო თოფები და დაეკისრათ ფულადი ჯარიმა.

პ. ბიოკაძე.

ღვინოს თავისი გაიტანა

ბიათურა. (საკ. კორ.). ბიათურის მესამე ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლს გელა მეგრელიშვილს, რომელიც მთვრალი იყო, ღამის პირველ საათზე გადაკარბებული სიჩქარით მიჰყავდა სატვირთო ავტომანქანა. მთვრალმა გ. მეგრელიშვილმა უნივერმაღთან მანქანა დაჯახა ექიმ ი. ყლენტს, რომელიც სასიკვდილოდ დაეშავა. იმის მაგიერ, რომ დაშავებული საავადმყოფოში წაეყვანა, მეგრელიშვილმა განიზრახა მსხვერპლი მდინარეში გადაეგდო, იგი მანქანის კაბინაში მოათავსა და დასავლეთით ყვირილის ხეობაში ოთხ კილომეტრზე წაიღო, მაგრამ განზრახვა ვერ განახორციელა, ი. ყლენტს გვამი კაბინაში მიატოვა და მიიმალა.

გამოძიებამ დამნაშავის კვალს მიაგნო.

დიმიტრი პაპიძე მარგანტრესტის მერძევეობამეხოსტენობის საბჭოთა მეურნეობაში მძღოლად მუშაობდა. იგი მთვრალი მიუჯდა საჭეს, მანქანის კაბინის საფეხურზე დააყენა მთვრალი გივი ლაბაძე, რომელიც გადმოვარდა საფეხურიდან და იქვე გარდაიცვალა.

მძღოლმა გოდერძი ბაძგარაძემ სოფელ ოთხვისში წაიყვანა მესამე ავტოსატრანსპორტო საწარმოს ავტომანქანა. ოჯახში ალკოჰოლი მიიღო და მთვრალმა წამოიყვანა მანქანა. ღვინომ თავისი გაიტანა. მძღოლმა მანქანა ხევში გადაჩეხა. იგი მაღალი ძაბვის ხაზებს დაეცა. მანქანას გაუჩნდა ხანძარი, რომელმაც მძღოლიც იმსხვერპლა.

ასეთია ლოთობის საკვალალო ნაყოფი.

„მუშაკეტერთა“ კარადი

ავსტრიის დედაქალაქ ვენაში სტარტი აიღო მოფარიკაკვეთა მსოფლიო ჩემპიონატმა. ტურნირზე შეიკრიბნენ 39 ქვეყნის „მუშკეტერები“, რაც სარეკორდო ციფრია. ეს პოპულარული ასპარეზობა 1896 წლიდან იმართება.

ორშაბათს „შტადტჰალეს“ დარბაზში ბრძოლაში პირველნი ჩაებნენ რაპირისტები. 36 მოფარიკაკვეს შორის, რომლებიც გუშინ ჩემპიონობისათვის ასპარეზობას განაგრძობდნენ, ოთხი საბჭოთა სპორტსმენი იყო — პუტიატინი, სტანკოვიჩი, რომანოვი და კოტეშევი.

ჭადრაკის მერიდიანებზე

● **გუშინ** მოსკოვში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტების — ტ. პეტროსიანისა და ვ. კორჩნოის ნახევარფინალური მატჩის მეორე პარტია. ამჯერად თეთრებით ვ. კორჩნოი თამაშობდა.

ისევე, როგორც პირველ პარტიაში, შეტევენი ახლაც ყაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად, მატჩის ანგარიშია 1:1.

ასოშიეიტედ პრესის ცნობით, გუშინვე აშშ-ის ქალაქ დენვერში გაიმართა ნახევარფინალისტთა მეორე წყვილის რ. ფიშერისა და ბ. ლარსენის მატჩის პირველი პარტია. თეთრებით თამაშობდა ფიშერი. პარტიები გაიმართება სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. გადადებული პარტია გათამაშდება მეორე დღეს. შაბათობით მოჭადრაკეები დასვენებენ.

● სსრ კავშირის ნაკრები ლიდერობს საუნდენბოთა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც პუერტო-რიკოს ქალაქ მაიაგუესში მიმდინარეობს. სამი ტურის შემდეგ მას 9 ქულა აქვს 12 შესაძლებლიდან. ყველა წინასწარი შეხვედრა ჩვენმა სტუდენტებმა მოიგეს ერთნაირი ანგარიშით — 3:1.

საბჭოთა ნაკრები პირველ ჯგუფში გამოდის. აქ მას 3 ქულით ჩამორჩებიან ავსტრალიელები, მასპინძლებს ხუთი ქულა აქვთ. 9 ქულა აქვს აგრეთვე მეორე ჯგუფის ლიდერს — ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს.

„მუშკეტერთა“ კარადი

ავსტრიის დედაქალაქ ვენაში სტარტი აიღო მოფარიკაკვეთა მსოფლიო ჩემპიონატმა. ტურნირზე შეიკრიბნენ 39 ქვეყნის „მუშკეტერები“, რაც სარეკორდო ციფრია. ეს პოპულარული ასპარეზობა 1896 წლიდან იმართება.

ორშაბათს „შტადტჰალეს“ დარბაზში ბრძოლაში პირველნი ჩაებნენ რაპირისტები. 36 მოფარიკაკვეს შორის, რომლებიც გუშინ ჩემპიონობისათვის ასპარეზობას განაგრძობდნენ, ოთხი საბჭოთა სპორტსმენი იყო — პუტიატინი, სტანკოვიჩი, რომანოვი და კოტეშევი.

სახელმწიფო ე-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხი 1966 წლისა

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა მე-40 ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1971 წლის 30 ივნისს ქალაქ ვოლგოგრადში.

მოგება ხვდა სესხის ოცდათხუთმეტიანე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
100240	1—50	40	120845	03*)	500	132038	12*)	500
100405	32*)	500	121102	12*)	2500	132542	1—50	40
100708	18*)	500	121514	1—50	40	133555	1—50	40
100867	05*)	500	121536	08*)	500	133998	31*)	500
100967	02*)	500	122164	18*)	500	134061	06*)	500
101019	36*)	500	122325	02*)	500	136180	05*)	500
102332	34*)	500	122334	01*)	500	136467	37*)	500
104139	1—50	100	124465	25*)	500	136645	1—50	40
104334	37*)	500	125138	1—50	40	137960	27*)	500
104753	1—50	100	125309	27*)	500	139208	06*)	500
105066	1—50	40	125749	39*)	500	139221	1—50	100
105610	19*)	500	125778	32*)	500	139823	12*)	1000
105620	15*)	500	126124	25*)	500	140741	32*)	500
105940	15*)	500	126662	08*)	500	141492	33*)	500
107454	29*)	500	126942	1—50	100	142700	1—50	100
109431	50*)	2500	127007	23*)	500	143088	08*)	500
109572	31*)	500	128156	1—50	100	143410	06*)	500
110297	36*)	1000	128578	05*)	500	144505	44*)	1000
110931	18*)	500	128816	26*)	500	144899	07*)	500
112430	1—50	40	129357	03*)	500	146441	09*)	500
112632	1—50	40	129782	47*)	500	147031	29*)	500
112913	1—50	40	129957	40*)	500	147249	1—50	40
114616	22*)	500	129974	11*)	1000	147575	37*)	500
114655	29*)	500	130267	1—50	40	147790	1—50	40
115129	1—50	100	130574	1—50	40	149106	19*)	500
116312	41*)	500	130605	12*)	500	149544	44*)	500
116789	34*)	500	130745	48*)	500	149628	02*)	1000
116913	38*)	1000	130924	1—50	40	150224	1—50	40
118044	1—50	40	131016	21*)	500	150478	1—50	100
120748	1—50	100	131836	01*)	1000	150685	1—50	100
150859	50*)	500	167659	1—50	40	184449	1—50	40
151667	23*)	500	168135	41*)	500	185093	1—50	40
151856	13*)	500	169084	01*)	500	185548	1—50	40
152344	14*)	1000	169282	33*)	500	185696	1—50	100
152473	48*)	500	169358	45*)	1000	186242	11*)	1000
153242	25*)	500	170338	26*)	1000	186366	1—50	40
154087	1—50	40	170546	1—50	100	188021	24*)	1000
154577	22*)	500	171073	08*)	500	188401	1—50	100
154768	02*)	500	171248	24*)	500	188459	29*)	500
154980	46*)	500	171421	31*)	500	189652	1—50	100
155697	1—50	40	171684	25*)	2500	190131	1—50	40
156130	37*)	500	173097	1—50	40	190320	29*)	500
156432	13*)	2500	173152	33*)	500	190752	30*)	5000
156693	48*)	1000	173370	33*)	500	191236	41*)	500
157058	30*)	500	173899	36*)	500	191551	41*)	1000
157523	1—50	100	173951	10*)	500	191663	31*)	1000
157989	29*)	500	174199	16*)	500	192497	43*)	500
158925	12*)	500	174502	49*)	500	192540	07*)	500
159079	23*)	1000	174511	20*)	1000	193352	34*)	500
159791	29*)	5000	176350	35*)	500	193652	12*)	1000
162065	33*)	1000	176586	1—50	40	194150	19*)	500
162427	1—50	40	177077	47*)	2500	194736	1—50	40
164547	17*)	500	177265	47*)	500	194853	23*)	500
164699	1—50	40	177637	1—50	40	195028	23*)	500
164849	11*)	500	178434	27*)	500	195282	49*)	500
165282	01*)	500	180072	27*)	500	195474	33*)	500
166294	1—50	40	180426	42*)	500	196035	1—50	40
166400	09*)	500	180634	19*)	500	196039	38*)	500
166662	19*)	500	181453	14*)	500	196131	30*)	500
166832	1—50	40	181744	03*)	500	198571	37*)	500
166879	32*)	500	182333	07*)	500	198900	1—50	40
167360	1—50	40	182401	07*)	500	199458	40*)	1000
167525	09*)	500	183556	1—50	40			

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თვითეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი.

ათმანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემნახველი სალაროები გასცემენ მოგებას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ვოლგოგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **მ. ვ. ზოლოტარიოვი**

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი **ვ. ი. მალცევა**

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თბილისის ს. ზაქარიაძის სახელობის მხატვრული თვითმოქმედების კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი

აცხადებს 1971-72 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას:

1. საგუნდო-სადირიჟორო (გუნდის დირიჟორების და ქართული ხალხური საკრავების ორკესტრის დირიჟორობის განხრით),

2. თეატრალურ (რეჟისურის განხრით),

3. ქორეოგრაფიულ (ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განხრით) განყოფილებებზე.

სასწავლებელში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე.

საგუნდო-სადირიჟორო და ქორეოგრაფიულ განყოფილებებზე მიიღებიან 8 და 10 კლასის განათლების, ხოლო თეატრალურ განყოფილებაზე — მხოლოდ ათი კლასის განათლების მქონენი.

სასწავლებელში შესვლის მსურველებმა მისაღები გამოცდები უნდა ჩაბარონ: 8 კლასდამთავრებულებმა: სპეციალობაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ქართულ წერაში.

საშუალო სკოლადამთავრებულებმა: სპეციალობაში, ქართულ წერასა და სსრკ ისტორიაში.

სასწავლებელში კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი, ქების სიგელით რვა კლასდამთავრებულნი და ის პირნი, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე 2 წლის სტაჟი და მუშაობენ სასწავლებელში შემოსასვლელად არჩეული სპეციალობით: რვა კლასდამთავრებული ფრიადოსნები გამოცდებს აბარებენ მხოლოდ სპეციალობაში.

სასწავლებელში შესვლის მსურველებმა უნდა შემოიტანონ სასწავლებლის დირექტორის სახელზე განცხადება და წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. შრომის წიგნაკიდან ამონაწერი, დამოწმებული წარმოების ან დაწესებულების მიერ, ხოლო კოლმეურნეებმა უნდა წარმოადგინონ ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, 3. აგტობიოგრაფია, 4. დაბადების მოწმობა ან პასპორტი. 5. სამხედრო ბილეთი (თადარიგის სამხედრო ვალდებულებისათვის), მიწერის მოწ